პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცეკ-ს. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.
რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე 2 სართული).
ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგი: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 139 ხუთშაბათი, 22 ივნისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 22 ივნისი 1922 წ. № 139

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის კონფერენცია

ამა წლის ივნისის 25-ს მოწვეულია პირველი პარტიული კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება მე 11 ყრილობაზე და საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები;
2) მოხსენება გენუის კონფერენციის შესახებ;
3) მოხსენებები ადგილებიდან;
4) მუშაობა პროფკავშირთა შორის;
5) მუშაობა ახალგაზრდათა შორის;
6) საორგანიზაციო აღმშენებლობა;
7) საფინანსო პოლიტიკა;
8) მიმდინარე საქმეები.

ცეკას სეკრეტარიატი.

ხუთშაბათს, 22 ივნისს, საღამოს 5 საათზე, პროფკავშირის საბჭოს დიდ დარბაზში (შესავალი ბარიათინის ქუჩიდან) შესდგება

პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის გაფართოებული სხდომა

პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ გამგეობის, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების და ადგილობრივ კომიტეტების მონაწილეობით.

დღის წესრიგი:

1) კავშირებში საღამოს მუშაობა.
2) მუშათა დასასვენებელი სახლები.
3) მუშათა სახლი.
4) მიმდინარე საკითხები.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.

3—3

რუსეთის ნოტა განიარაღების შესახებ

ბურჟუაზია და მისი ამყოლ-დამყოლი „სოციალისტები" ყოველთვის გაჰკიოდნენ, არ სწყვეტენ დღესაც ლაპარაკს, საბჭოთა რუსეთის მილიტარიზმის, მისი „წითელი იმპერიალიზმის" შესახებ. ხელმძღვანელი და არა ხელმძღვანელი ორგანოები ბურჟუაზიული და „სოციალისტური" პრესის შემთხვევას არ უშვებდნენ, და ასევე იქცევიან დღესაც, რათა საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო საფრთხის ქვეშ იყოლიონ საზოგადოებრივი აზრი ევროპის, განსაკუთრებით კი რუსეთის განაპირა სახელმწიფოების, რომელთა „დამოუკიდებელ" არსებობას თითქოს ემუქრებოდეს წითელი არმია. გაბატონებული კლასები ევროპის, რომლებიც მოუსვენრობით არიან შეპყრობილი წითელი რესპუბლიკის სამხედრო ძლიერების გამო და ამაში ხედავენ—არა უსაფუძვლოთ, რასაკვირველია—მუქარას მათი **ბატონობისათვის,** დაინტერესებული არიან ცხადია, რომ შექმნან მუდმივი იჭვიანობის ატმოსფერა საბჭოთა რესპუბლიკების და დანარჩენ ქვეყნებს შორის. ასეთი აგიტაციით, რომელსაც სამწუხაროთ საკმაოთ მნიშვნელოვანი „აუდიტორია" ყავს ჯერ კიდევ ევროპაში, დაინტერესებული წრეები კაპიტალისტების არა მარტო ახერხებენ ხელოვნურათ შეინარჩუნონ კეთილი განწყობილება „დამოუკიდებელი" სახელმწიფოების, რომლებსაც თითქოს საფრთხე მოელის აღმოსავლეთიდან, არამედ ამავე არგუმენტით მათ სურთ გაამართლონ უხეში მილიტარიზმის არსებობა თავიანთ ქვეყნებში, უფრო ადვილათ მიაღებინონ თავიანთ „დემოკრატიას" ის აუარებელი ხარჯები სამხედრო საქმეზე, რომლებიც შეადგენენ მათი სახელმწიფოს ბიუჯეტის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. როდესაც ვაშინგტონის კონფერენციის წინა დღეებში (და ეს არ შეწყვეტილა შემდეგაც) ამერიკის ფინანსიური წრეებიდან საკმაო კატეგორიულათ მოისმა ხმა საფრანგეთის მიმართ იმის შესახებ, რომ ის პროცენტები, რომლებიც სხვა მოკავშირე სახელმწიფოების მსგავსათ ვალდებულია ის გადაუხადოს ამერიკას ომის დროს აღებული ვალებისთვის, ფაქტიურათ უნდება საფრანგეთის მილიტარიზმის კვებას, რომ ამიტომ საჭიროა განიარაღება მისი სხვებთან ერთად, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივი შემცირება შეიარაღების და ამნაირათ სამხედრო ხარჯებისაც, ამაზე საპასუხოთ ბრიანი იმ არგუმენტით ასაბუთებდა განიარაღების შეუძლებლობას, რომ ისეთი ძლიერი მილიტარისტული სახელმწიფოს „გვერდით", როგორიც არის რუსეთი, საფრანგეთის სამხედრო ძლიერების მცირეოდენი შესუსტებაც დამღუპველი იქნებოდა არა მარტო საფრანგეთისთვის, არამედ მთელი დასავლეთ-ევროპის „ცივილიზაციითვისაც". ამნაირად შეიარაღებული საბჭოთა რუსეთი—აი, მათი ოფიციალური აზრით, უმთავრესი დაბრკოლება ევროპის სახელმწიფოების და კერძოთ საფრანგეთის განიარაღების საცდელად.

ამ თვალთმაქცობას ნიღაბი ჩამოაფხრიწა გენუიაში საბჭოთა დელეგაციამ ამხ. ჩიჩერინის პირით. საბჭოთა დელეგაციის არგუმენტაციის აზრი სხვათა შორის ასეთი იყო: ჩვენ გვხდით მიზეზათ თქვენი მილიტარიზმის გაძლიერებისათვის და არ გსურთ განიარაღება, ვინაიდან ჩვენ ვართ შეიარაღებული; ჩვენ ვსვამთ ამიტომ კითხვას საერთო განიარაღების შესახებ, ჩვენ თანხმობას ვაცხადებთ ამ განიარაღებაზე, კეთილ ინებეთ ჩვენთან ერთად გაარჩიოთ ეს საკითხი მისი რეალურად გატარების თვალსაზრისით და ყოველივე ეს—დაუყოვნებლივ.

ყველამ იცის, როგორ შეხვდნენ ამ წინადადებას კონფერენციის ხელმძღვანელები და განსაკუთრებით საფრანგეთის დელეგატი ლუი ბარტუ, რომელიც, ვიტყვით აქვე, არის ერთი აქტიური მოღვაწე და სულის ჩამდგმელთაგანი საფრანგეთის სამხედრო კანონმდებლობის ურეაქციონერეს აქტების ამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში.

ასეთი დამოკიდებულებით საბჭოთა დელეგაციის მიერ წამოყენებულ კითხვასთან ევროპის მებრძოლმა იმპერიალიზმმა საფრანგეთის მეთაურობით მთლათ გამოააშკარავა თავისი ვინაობა და ჩვენმა დელეგაციამაც უდიდესი სამსახური გაუწია ამ მხრივ ევროპის მუშათა კლასს: სააშკარაოზე, საჯაროთ ქუჩაზე გამოათრია მტერი და დაანახვა ის. ამით მან ხელი შეუწყო ეგრედ წოდებულ საზოგადოებრივი აზრის გამორკვევასაც.

მაგრამ ჩვენი ამხანაგების ამ წინადადებას საფუძვლათ ედო არა მარტო პოლიტიკური მიზანი, მიზანი აგიტაციის. საბჭოთა სახელმწიფოები, რომლებიც ჩაბმული არიან დღეს დანგრეულ მეურნეობის აღსადგენ მუშაობაში, მწვავეთ განიცდიან იმ სიმძიმეს სამხედრო ხარჯებისას, რომლებიც იძულებული არიან თავზე იდონ, რათა შეიარაღებული მტრის პირისპირ მდგარნი, ისინი ვერ ახერხებენ შეიარაღების შემცირებას, რაც სრულიათ ბუნებრივია ასეთ პირობებში. ცხადია როგორ გასაქანს იპოვნიდა აღმშენებლობითი მუშაობა სამეურნეო ფრონტზე, რომ იარაღ ქვეშ დაყენებული ფიზიკური ძალა რესპუბლიკების მუშებისა და გლეხების შესევოდნენ ამ ფრონტს და ენერგია, რესურსები ქვეყნის, რომელსაც იწირავს სამხედრო ორგანიზაცია, გადადებული ყოფილიყო მშვიდობიანი მუშაობის გასაძლიერებლათ. ამნაირათ სამხედრო ხარჯები არის ერთი დაბრკოლებათაგანი მეურნეობის აღდგენის გზაზე და ეს ითქმის როგორც ევროპის სხვა ქვეყნებზე, ისე, კიდევ უფრო მეტი საფუძვლიანობით, საბჭოთა რესპუბლიკებზე.

ამ აზრით არის სხვათა შორის ნაკარნახევი საბჭოთა რუსეთის ახალი ნოტაც განიარაღების შესახებ, მიმართული ესტონიის, ლატვიის, პოლონეთისა და ფინლიანდიის რესპუბლიკებისადმი. ის ფრიად თანადროულია არა მარტო საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის საერთო ხაზის თვალსაზრისით. საბჭოთა მთავრობის ამ ნაბიჯის გადადგმა მოხდა სწორეთ იმ მომენტში, როდესაც პოლონეთში ადგილი აქვს დიდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ კრიზისს მთავრობის ცვლილების სახით, რომელსაც სარჩულათ უდევს სამხედრო საკითხი და დამოკიდებულება რუსეთთან.

საზოგადოებრივი აზრი პოლონეთის და განაპირა სახელმწიფოების გამოიყვანს შესაფერ დასკვნას საბჭოთა რუსეთის ამ წინადადებიდან ურთიერთშორის შეთანხმებით შეიარაღების შემცირების შესახებ და გაძლიერებს ამ ქვეყნებში ანტიმილიტარისტულ ოპოზიციას, კიდევაც რომ არ მოჰყვეს რუსეთის ამ ნაბიჯს სხვა დადებითი უშუალო შედეგები.

ერთხელ კიდევ საბჭოთა ფედერაცია ევლინება დაღლილ-დაქანცულ ევროპას და მის დატანჯულ ხალხებს, როგორც ბაირაღტარი მშვიდობიანობის და მით ერთხელ კიდევ გამოაშკარავდება ვინ არის ჭეშმარიტი ცეცხლის წამკიდებელი ევროპაში, ვისი მიზეზით ეხუთება სული შრომელთა მასებს, ვინ აფერხებს ნამდვილათ ევროპის ეკონომიური აღდგენის საქმეს.

კოლექტიურ ხელშეკრულების პრაქტიკა და შეცდომები

კოლექტიური ხელშეკრულების საკითხი თეორიის ფარგლებს გასცილდა და პრაქტიკულათ დაისვა. ის ფეხს იკიდებს ყველგან და ერთგვარი შედეგებიც მოაქვს, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ვინაიდან ამ შედეგების შესწავლით შეგვიძლია აღვნიშნოთ, უარყოფითი ან დადებითი მხარეები, ამოვაჩინოთ ესა თუ ის ნაკლი, რომლის დანახვა და გათვალისწინება შეუძლებელი იყო დასაწყისში.

რამდენად კოლექტიურ ხელშეკრულების პრაქტიკა კარგად იქნება შესწავლილი, იმდენად თავიდან ავიცილებთ მომავალში შეცდომებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან კოლექტიურ ხელშეკრულებათა გატარება და მათი ფართოდ გავრცელება ერთგვარ გარანტიას იძლევა მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ, უფლებრივ და საერთოდ შრომის პირობების გაუმჯობესებისას. კიდევ მეტი, ის საუკეთესო საშუალება არის კერძო წარმოებაში ჩაბმულ მომუშავეთა კლასიურ ბრძოლისათვის შესაკავშირებლად, ის ხელს უწყობს მასსების განვითარებას, მათი კლასიურ თვითშეგნების ზრდას, პროფკავშირების გავლენის განმტკიცებას, კავშირებისადმი ლტოლვას, სახელმწიფო წარმოებაში მომუშავეთა საწარმოო საქმეებში დაინტერესებას, თითოეულ მომუშავის აქტივობის და ინიციატივის გამოჩენას და სხვა.

კოლექტიური ხელშეკრულება უნდა წარმოადგენდეს და მისი უმთავრესი შინაარსი უნდა იყოს შრომის პირობები, როგორც მაგალითად, ხელფასის საკითხი, სანარდო განაკვეთის ნორმები, ხელფასის მიცემის წესრიგი, კომპენსაცია, სამუშაო დრო, შეღავათები, დღიური განაწესის უმთავრესი მომენტები და სხვა. სწორედ რომ ვთქვათ, კოლექტიური ხელშეკრულება ეს არის შრომის კანონზე მიმატებული კიდევ ზედმეტი შრომის პირობები (უკეთესი). კანონი—ეს ყველასათვის სავალდებულო მინიმუმია, რისთვისაც სრულიად ზედმეტად უნდა ჩაითვალოს კოლექტიურ ხელშეკრულებაში შრომის კანონების განმეორება და მოყვანა. ეს წყლის ნაყვა იქნება, ვინაიდან უამისოდაც კანონი სავალდებულოა. სამწუხაროდ, თითქმის უმეტესი ნაწილი ჩვენი კოლექტიურ ხელშეკრულებებისა სავსეა შრომის კანონებით, მაშინ, როცა თვით უმთავრესს ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული. ამით ხელშეკრულებას თავისი ფასი ეკარგება. არის შემთხვევები, როცა ის წარმოადგენს მხოლოდ შრომის კანონმდებლობის განმეორებას.

შემდეგ, თქვენ შეხვდებით ხელშეკრულებებში ისეთ ბუნდოვან მუხლებს, რაც გაუგებრობას ბადებს და მათ დამქირავებელი თავის სასარგებლოდ იყენებს. მაგალითი ერთი ხელშეკრულებიდან: „ზედმეტი სამუშაო დაშვებულ იქნას საჭიროებისამებრ". ჯერ ერთი, რომ სიტყვა „საჭიროება" ძალიან ბუნდოვანია, და მეორე—ზედმეტი სამუშაოს შესახებ შრომის კანონმდებლობაში ნათლად არის ნაჩვენები, როდის, რატომ, როგორ ან ვის შეუძლია მას მიმართოს. ასეთი მუხლი არღვევს კანონს, აუარესებს შრომის პირობებს, მაშინ, როცა კოლექტიურ ხელშეკრულების მიზანია შრომის პირობების გაუმჯობესება კანონმდებლობის თანახმათ.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს ერთი მიდრეკილება, რომელიც ჩემი ფიქრით დიდი შეცდომა არის.

სახელმწიფო წარმოება დაწესებულებებში კოლექტიურ ხელშეკრულების ჩამოგდებას ორი მომენტი აქვს. ერთი—სახელმწიფო მომარაგებაზე დატოვებულ წარმოება დაწესებულებებთან და მეორე—მომარაგებიდან მოხსნილ და საკუთარ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილებთან. რასაკვირველია, ამ უკანასკნელ კატეგორიის წარმოება-დაწესებულებებში კოლექტიური ხელშეკრულებით მოპოვებული გაუმჯობესებანი დამოკიდებულია თითოეულ წარმოებაზე. რამდენად ღონიერია ესა თუ ის წარმოება, იმდენად უკეთესი იქნება ხელშეკრულება და ამ შემთხვევაში აუცილებელია განსხვავება სხვადასხვა წარმოებების მუშების მდგომარეობის შორის. მაგრამ, ეს განსხვავება დაუშვებელია სახელმწიფო მომარაგებაზე დატოვებულ მუშა მოსამსახურეთა ერთ და იგივე კატეგორიის შორის. ერთგვარი დაწესებულებების კოლექტიური ხელშეკრულებანი, (როგორც, მაგალითად, სახ. კომისარიატების), არ უნდა განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან, (უმთავრესად სამუშაო ხელფასის მხრივ), განურჩევლად მათი სიახლოვესა ამა თუ იმ სიმდიდრესთან (ბანკი, სასურსათო კომ. საგარ. ვაჭარ. ორგანო და სხვა), ვინაიდან ყველა ამ დაწესებულებებში მომუშავეთ საქმე აქვთ ერთ ორგანიზაციასთან—სახელმწიფოსთან და მისი ვალდებულება ერთგვარი არის ყველასადმი (ამ შემთხვევაში მე არ ვათანასწორებ მოხელეებს და მუშებს, არამედ მხედველობაში მყავს ერთ და იგივე კატეგორიის მოხელეები სხვა და სხვა დაწესებულებებში).

უმთავრესი ნაკლი კოლექტიურ ხელშეკრულების საკითხის პრაქტიკულად გატარებისა—ეს მისი შეუსრულებლობა არის. უკმაყოფილება, პროფ კავშირების გავლენის დაცემა, პროფკავშირებისადმი ზურგის შექცევა და სხვა მოჰყვება მას შედეგათ. ყველა ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პროფკავშირების მიერ თითოეულ კერძო შემთხვევებში კოლ. ხელშეკრულების გამომუშავების დროს და რაც შეიძლება რეალურად მიუდგეს მას. ქაღალდზე დაწერა იმის, რის შესრულებაც შეუძლებელია, არავის სარგებლობას არ მოუტანს, ხოლო ზიანსა და უკმაყოფილებას კი მისცემს ადგილს. ყოველივე მუხლი ხელშეკრულების აწონ-დაწონილი უნდა იქნას, უნდა გათვალისწინებულ იქნას, შეუძლია თუ არა წარმოებას (ლაპარაკია სახელმწიფო წარმოებაზე) შეასრულოს ის თუ არა.

სამწუხაროდ, კოლექტიურ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ხშირი მოვლენაა, როგორც მაგალითად, სატყეო კომიტეტის მიერ, მკერვალებში და სხვა იყო შემთხვევა, როცა მომუშავეებმა განაცხადეს, „მოგვეცით ნახევარი იმ შრომის ხელფასისა, რაც კოლექტიურ ხელშეკრულებაშია დროზე და სრულის მიღებას არ ვწუხართ".

ეს შეცდომები გათვალისწინებულ უნდა იქნას ახალ კოლექტიურ ხელშეკრულების დადების დროს და მომავლისთვისაც. მეტი რეალობა, და ხელშეკრულების მთლიანად გატარება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ფასი დაეკარგება და მისი დამცველი ორგანიზაციის—პროფკავშირების ავტორიტეტიც დაეცემა.

ს. გოდაბრელიძე.

პრესა

გარდატეხა ფასების მდგომარეობაში.

ამხ. გ. სოკოლნიკოვი აღნიშნავს მოსკოვის „პრავდა"-ში ერთ შესანიშნავ მოვლენას, რომელსაც ადგილი აქვს უკანასკნელ ხანებში რუსეთის ზოგიერთ ადგილებში და კერძოთ მოსკოვში. ეს არის გარდატეხა ფასების მდგომარეობაში, სახელდობრ, დაცემა მათი.

„ის, რაც ჯერ კიდევ ახლო წარსულში ბევრს ეგონა ზოგიერთი „თეორეტიკოსის" ხორც შეუსხმელ ოცნებათ — გარდატეხა ფასების მდგომარეობაში—სინამდვილეთ იქცა. მაისის განმავლობაში უმთავრესი სასურსათო საგნების ფასების ზრდა არა მარტო შესწყდა, არამედ მათ დაიწყეს კლებაც. მრეწველობის პროდუქტების ფასები თუმცა ისევ მატულობენ, მაგრამ ეს ხდება ჯერ მხოლოთ ისეთ ფარგლებში, რომლებიც ასწორებენ ქალაქისა და სოფლის პროდუქტების წინეთ დარღვეულ ეკვივალენტურ წონასწორობას და ამით თითქოს სურთ გაირბინონ ის მანძილი, რომელზედაც ისინი ჩამორჩნენ. თავისუფალ ბაზარზე მდგომარეობა ოქროს ფასის—რომელიც წარმოადგენს ფრიად მნიშვნელოვან კომერციულ „ინდექს" კასხებისას — ააშკარავებს მთელი მაისის განმავლობაში უმნიშვნელო რყევას და ეჩნევა ერთნაირი მიდრეკილება დაცემისაკენ. (აპრილის უკანასკნელ რიცხვებში ოქროს ათ მანეთიანის ფასი შავ ბირჟაზე იყო 2300 მანეთი (1922 წლის ნიშნებით), მაისის ბოლოში კი 2150 მან.). ქაღალდის მანეთის კურსი ოქროზე თავისუფალ ბაზარზე გვაძლევს ამნაირათ სურათს სრული სტაბილიზაციისას, სურათს, რომლის მსგავსი კარგი ხანია აღარ გვინახავს".

როგორ უნდა ავხსნათ ეს მოვლენა, გარდატეხა ფასების მდგომარეობაში?

„ორი ფაქტორით უნდა ავხსნათ ეს გარდატეხა—ამბობს ავტორი. პირველი ის, რომ შიმშილობის საფრთხე სუსტდება, მეორე—სპეკულაცია საბჭოთა მანეთების კურსის დასაცემათ დამარცხდა". პურის ფასის დაცემაზე გავლენა იქონია საზღვარგარეთიდან შემოტანილმა სურსათმა და იმ გარემოებამ, რომ წლევანდელ მოსავალს კარგი პირი უჩანს. ამ უკანასკნელის გავლენით სოფლის მეურნემ გამოიტანა ბაზარზე ის პური, რომელიც მას მომაგრებული ჰქონდა თავის ბეღლებში მშიერი წლის მოლოდინში, რომლის საფრთხე დღეს ნაკლებია. გარდა ამისა ამ წლის პირველი სამი თვის განმავლობაში ემისიაც შემცირებულ იქნა შედარებით.

„ფინანსიურმა პოლიტიკამ აიღო კურსი ფასების სტაბილიზაციაზე, მანეთის განმტკიცებაზე, ემისია შეიზღუდა, გადასახადებმა და შემოსავალმა დაიწყო ბაზრიდან ფულის ამოწურვა. მდგომარეობა იცვლება. ფულის „სიმშილობა" საგრძნობი შეიქნა აპრილში სოფელში, რომელიც წინეთ ბოიკოტს უცხადებდა ფულს, ახლა ეძებს მას. პირველი შემთხვევისათანავე ის იჩქარის პურისა და სხვ. გაყიდვას ფულის მისაღებათ. მისი ღირებულებაც იზრდება. მანეთის ფასი (პურზე) მატულობს... მუშათა რეალური ხელფასი აღარ მცირდება, პირიქით, მატულობს. ამნაირათ ემისიის შემცირების პოლიტიკამ—საგრძნობლათ დააჩქარა და შესაძლებელი ჰყო გარდატეხა ფასებში"...

მტკიცეა თუ არა ეს მოვლენა? ავტორის აზრით, ამ ქვეყნათ მტკიცე არაფერი არ არის. კითხვა მხოლოთ ასე შეიძლება დაისვას: რა პირობებშია მოსახერხებელი შევინარჩუნოთ ეხლანდელი ხელსაყრელი მდგომარეობა საბჭოთა რესპუბლიკის ვალიუტისათვის?

„ახლო მომავალში—უპასუხებს ამხ. სოკოლნიკოვი—ეს დამოკიდებულია სამი მომენტისაგან: პირველი—მოსავალი; მეორე—უახლოეს თვეებში სავაჭრო აპარატის მოწყობა შემოდგომისთვის საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოსაწესრიგებლათ სოფელსა და ქალაქს შორის; მესამე მომენტი—ემისიის შესუსტების გაგრძელება.

ამხ. სოკოლნიკოვი დასკვნის:

„უდიდესი გაჭირვებით და მსხვერპლის გაღებით პროლეტარული რესპუბლიკამ თავი გამოიშვა სიმშილის კატასტროფის მუხრუჭიდან. ბაზარზე ფასების გარდატეხა მაჩვენებელია გარდატეხისა მთელ ეკონომიურ მდგომარეობაში. **ჩვენ ვართ უკეთესი დღეების მოლოდინში, ცუდი დღეები უკან დარჩნენ".**

* * *

თეთრგვარდიელთა ემიგრაციაში.

ჩვენ არა ერთხელ გვქონია აღნიშნული ფაქტები, დამახასიათებელი თეთრგვარდიელთა ემიგრაციის დაშლისათვის უცხოეთში. ამ რღვევის პროცესს ვერ გადაურჩა ვერც ერთი მასიური ჯგუფი ამ ემიგრაციის. მისი გავლენა სწვდა ვრანგელის ყოფილი არმიის გაბნეულ ნაწილებსაც და კერძოთ კაზაკობას, რომელიც შეადგენდა მნიშვნელოვან ნაწილს ამ არმიისას. პირველი დიდი სენსაცია მოახდინა იქ სრულ. რუს. ცენტრალური აღმასკომის მოწოდებამ წარსული წლის ნოემბერში, რომელიც ამნისტიას უცხადებდა უცხოეთში გაფანტულ თეთრგვარდიელთა ჯარების ნაწილებს. ამ მოწოდებამ თავისი გავლენა მოახდინა და კიდევ უფრო გაზარდა ბუნებრივი ლტოლვა სამშობლოსაკენ საშინელ პირობებში ჩაცვენილ კონტრ-რევოლიუციის მსხვერპლების და მით გააძლიერა უკვე დიდიხნით მათში დაგუბებული უკმაყოფილება მეთაურებით, შეიტანა დაქაქსვისა და დაშლის ელემენტები ვრანგელელებში. მიმდინარე წლის დასაწყისიდან უცხოეთში მყოფ კაზაკობაში შესამჩნევი შეიქნა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გარდატეხა მის დამოკიდებულებაში მეთაურებთან. ამას ხელი შეუწყო ერთხელ კიდევ ქ. პრაგაში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის „მოწოდებამ თეთრი არმიების კაზაკობისადმი", რომელიც გამოქვეყნდა წარსულ მაისში „საბჭოთა ხელისუფლება მოგიწოდებს თქვენ მშვიდობიანი შრომისათვის"-ო ასე თავდებოდა ის მოწოდება. აღსანიშნავია ამავე აზრით ყოფილი ყუბანის რუსის მოღვაწეების „წერილი ყუბანელ-ლტოლვილებისადმი", რომელსაც ხელს აწერენ: ლ. მიჩი, ფ. ვორონპინოვი, პეტრე მაკარენკო, ლ. მალაშოვი და რომელიც დაბეჭდილია ცნობილ „ვეხილების" ბერლინელ გაზეთ „ნაკანუნე"-ში (ივნისის 5).

„რუსეთის გენერლებს და მათი ყუბანელ მაჩანჩალებს—ასე მიმართავენ კაზაკებს ზემოხსენებული პირები—დღემდე ყავთ თქვენი უმრავლესობა დამორჩილებული სიმშილისა და ყოველგვარი დასჯის მუქარით. თქვენ ჩაჭერილი ყავხართ მათ თავიანთ სამხედრო ორგანიზაციაში, რომელსაც რაღაც მოსაზრების გამო „რუსულ არმიას" უწოდებენ (თქვენ იცით, რომ ნამდვილი არმია არის რუსული რუსეთში), ყავხართ, რომ შესძლონ აწარმოონ თავიანთი ბნელი პოლიტიკა, რომ თქვენი სახელით იშოვნონ ფული თავიანთ პირადი საჭიროებისათვის და თქვენვე ჩაგითრიონ მოხერხებულ დროს ავანტიურაში, რომელიც თქვენთვის და არა მათთვის იქნება დამღუპველი. მათ შეუძლიათ გაგაგზავნონ საბრძოლველად თქვენივე ძმების, ყუბანელების წინააღმდეგ, რომლებიც დარჩნენ იქ ყუბანში და რომლებიც, თუმცა არ გამხდარან კომუნისტებათ, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, იბრძოლებენ ყუბანელებისათვის დამახასიათებელი სიმამაცით ყუბანის დასაცავად ვრანგელის შესევისაგან, რადგან მისი იქ მისვლა მომასწავებელი იქნებოდა ახალი უბედურებისა და ხელახალი სისხლის ღვრის. ხოლო თუ ამ მიზნით ვერ მოგიხმართ ვრანგელი, ის შეეცდება გაგყიდოს თქვენ კარგ საფასურში რომელიმე სხვა ფრონტისათვის: ხომ ტყუილათ არ ჩაგბღაუჭებიათ ის თქვენ! გაბედულათ და პირდაპირ უნდა უთხრათ თქვენ თავს და სხვებს: „კმარა სისხლი! არ გვინდა გავხდეთ ზარბაზნის ლუკმათ იმ გენერლების ხელში, რომლებიც აშენებენ თავის უდარდელ ცხოვრებას და ბედნიერებას თქვენ სიცოცხლეზე, დროა მივაშუროთ ჩვენ ჩვენ სახლებს და შეუდგეთ მშვიდობიან შრომას".

ვრანგელის „ჯარი" თანდათან დნება. მას თვალს უხელს არა მარტო გარყვნილებაში და ფუფუნებაში ცხოვრება კომანდირების და თავისი უწყრო მდგომარეობა, არამედ განმტკიცება საბჭოთა ხელისუფლების და ის ცნობები რომელიც მათ მისდით სამშობლოდან.

* * *

„Заря Востока".

როგორც გაკვრით აღვნიშნეთ გუშინ, თფილისში იწყო გამოსვლა ამ თვის ოციდან დიდმა პოლიტიკურმა გაზეთმა: „აღმოსავლეთის განთიადი", რომელიც არის ორგანო ს. კ. პ. ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტისა და ამ. კავკ. სოც. საბ. რესპუბლიკების საკავშირო საბჭოსი. აღნიშნავს რა თავის პირველი ნომრის მეთაურში საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში მიღწეულ შედეგებს და მომავალ პერსპექტივებს, გაზეთი სწერს:

„საბჭოთა ხელისუფლების გადაუხვეველი გზა პროლეტარული პარტიის ხელმძღვანელობით და ფედერატიული კავშირის ცხოველმყოფელ გუმბათის ქვეშ, მიიყვანს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს მიზნებამდის, რომლებიც დაუყენა ისტორიამ მშრომელ კაცობრიობას. განთავისუფლების განთიადი, რომელიც ამობრწყინდა ჯერ რუსეთში და წინა აზიაში, გაანათებს მთელ დედამიწას.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის და წინააღმდეგ ბურჟუაზიის ბატონობისა! კომუნიზმისათვის წინააღმდეგ კერძო საკუთრებისა!

ყველა დამონებულ ხალხთა ფედერატიული კავშირისათვის დამმონებლების წინააღმდეგ!—აი ისტორიის ბრძანებითი ძახილი, რომლისკენაც იქნება მიპყრობილი ამიერ-კავკასიის მშრომელებთან ერთად, გულისყური ჩვენი გაზეთისაც".

არჩევნები თბილისის საბჭოში

როგორ მიმდინარეობს არჩევნები მე 3 რაიონში.

20 ივნისს საბჭოს არჩევნები იმგვარივე ერთსულოვნებით და წარმატებით მიმდინარეობდა რაიონის მუშათა შორის, როგორც წინა დღეებში.

საბჭოში ერთხმად არჩეულ იქნენ: „კოლექტიურ შრომის", „კეროშინის" და „განათლების" შალისა და საქსოვის ფაბრიკებიდან ამხ. ქიქოძე (კომუნისტი), მალინიკოვის ქალი (უპარტიო), მაქსიმოვი (კომუნისტი), გარგალადჯიევის ქალი (კომუნისტი), მარტიროსიანი (კომუნისტი), კურულოვი (კომუნისტი) და პიტოევი (კომუნისტი).

დარნიშიანის და ვაგანიანის საქსოვი ფაბრიკებიდან, ამხანაგები: ანაიდა ეგიაიანი (კომუნისტი), ნინა მახარაძე (კომუნისტი), შახნაზაროვის ქალი (კომუნისტი) და ოშინ ტერ-მარქარიანი (კომუნისტი), კანდიდატებათ: ხუციშვილი (უპარტიო), ბაბაიანი (კომუნისტი) და პირუმოვის ქალი (უპარტიო). „შრომის"-ის საპნის დასამზადებელი და კარაქის ქარხნებიდან ამორჩეულ იქნა ამ. ანტონ ბაბლუჩოვი (კომუნისტი) და კანდიდატათ ამხ. შენგელია (კომუნისტი).

სამკერვალო სახელოსნოდან და სამკერვალო სამრეწველოდან ამორჩეულ იქნენ ამხანაგები: ფარტუი გრიგორიანი (კომუნისტი), დარჩიევის ქალი (უპარტიო), ბურჯანაძე (კომუნისტი) მგელაძე ნინა (კომუნისტი).

—

მუშურ-გლეხური მილიციის თანამშრომელთა საერთო კრებაზე არჩეულ იქნენ თფილისის საბჭოს დეპუტატებათ ამხანაგები ხარაბაძე და მელაშვილი; მათ კანდიდატათ გაიკ ნაზაროვი. კრებამ ერთხმად მიიღო საქართველოს კომპარტიის თფილისის კომიტეტის ნაკაზი.

მე-2 რაიონის მელითონეთა საერთო კრებას (სამმართველო, ავტო-სახელოსნო № 2, ავტო-სახელოსნო № 3, საბჭოთა 1 სალით, ქარხანა-ხოშტარია, საბჭოთა მე 2 სალით, ქარხანა, საბჭოთა მე-3 მექანიკ. ქარხანა, 1-ტვირთ-საზიდი ეკონ. სახელოს., მექან. სახელოს. ცეკავშირისა, მექანიკ. სახელოს. ბენდუქიძისა, ქარხანა გნომი, სწორთაფაბრიკა, გომიაშვილის წყალსადენის სახელოსნო ხაილოვისა, სახელოსნო კურუხანოვისა). დაესწრო 611 კაცი.

საბჭოს საპატიო წევრებათ ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. სტალინი-ჯუღაშვილი და შლიაპნიკოვი. ხოლო საბჭოს წევრებათ: 1. მიხა ჩოდრიშვილი—მუშა კომუნისტი, 2. გელაშვილი—მუშა უპარტიო, 3. მენო კალანდაძე—მუშა კომუნისტი, 4. პრეობრაჟენსკი—მუშა კომუნისტი, 5. გარინი-მუშა კომუნისტი, 6. ელიზაროვი—მუშა კომუნისტი, 7. ფარცხელაიშვილი—მუშა კომუნისტი.

საქართველოს კომ. პარტიის თბილისის კომიტეტის ნაკაზი კრებამ ერთხმად მიიღო.

—

მეორე რაიონში არსებული „გემოკვების" კავშირის წევრების-წყლის წისქვილების, კერძო ფურნების და სხვ წარმოებათა კრებას დაესწრო 308 კაცი.

საბჭოს წევრებათ ერთხმად არჩეულ იქნენ. ამხანაგები: 1. სტეფანე აკოპოვი ინტელიგ. კომუნისტი.

2. არარატ-ავანოვი—მუშა უპარტიო.

3. გიგამ ალოიანი—მუშა უპარტიო.

4. ოჰანეს ჩახალიანი—მუშა უპარტიო.

კრებამ ერთხმად მიიღო საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ნაკაზი.

რადიო-დეპეშები

ესერების პროცესი

მოსკოვი. 21 ივნისი (რადიო). (დასაწყისი არ არის მიღებული)... ფრონტმა არ დაუჭირა მხარი ესერებს და მათ ცდას—შეედგინათ ახალი დროებითი მთავრობა ყველა სოციალისტური პარტიების წარმომადგენელთაგან, გარდა ბოლშევიკებისა (გამოტოვებულია)... გოცი ამბობს: „ჩვენ საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ მხოლოდ ხალხის მასებზე დაყრდნობით შევძლებდით უარი გვეთქმევინებინა ბოლშევიკებისათვის ხელისუფლებაზე. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ, თვით გოცისავე სიტყვებით, მასებმა ზურგი შეაქციეს ესერებს, ესერების პარტიას მაინც არ შეუწყვეტია შეიარაღებული ბრძოლა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

გოცი შემდეგ გადადის დასავლეთის ფრონტის შექმნის საკითხზე. იგი ამტკიცებს, რომ ეს ფრონტი იყო შექმნილი გერმანელებისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ რიგათ გოცი თვითონ ამტკიცებს, რომ პირველათ ესერებმა დაიწყეს სამოქალაქო ომი, რასაც ისინი ამდენ ხანს დაჟინებით უარყოფდენ.

ლუნაჩარსკის შეკითხვაზე, გოცი ხელმეორედ ადასტურებს, რომ მიუხედავათ იმისა, რომ (დამახინჯებულია)... კომიტეტი მოგილიოვში მომხრე იყო ყველა პარტიების გაერთიანებისა, და ესერები კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ, რომ მთავრობაში შესულიყვნენ ბოლშევიკები, რადგანაც ახალი დროებითი მთავრობა სდგებოდა მხოლოდ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად და საბჭოთა მთავრობის დასამხობად. დარბაზში საერთო სიცილს იწვევს გოცის განცხადება, რომ ესერებს არაფერი საწინააღმდეგო არ ქონდათ იმ ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ, რომელნიც არ მონაწილეობდენ ხელისუფლების დაპყრობაში და მათი მთავრობაში შეყვანა მათ შესაძლებლად მიაჩნდათ.

მოწმე კელერი იძლევა საინტერესო ჩვენებას (დამახინჯებულია).. ესერები არავის არ ანდობდენ თავიანთ გეგმებს და არ აცხადებდენ მას, ხოლო იმავე დროს სცდილობდენ გაეგოთ იმ ძალების რაოდენობა, რომელიც ყავდათ (გამოტოვებულია)..

მოწმე რატნერი იძლევა ვრცელ განმარტებას, რომელიც ამასთან წარმოიდგენს გოცის დეკლარაციის პასუხს. რატნერი ამბობს: „მე შეუძლებლად და შეუფერებლად მიმაჩნია ვეძიო აქ ესერების პარტიის იდეოლოგია, როგორც ეს ჩაიდინა გოცმა. რატნერი კატეგორიულად აცხადებს, რომ ძალების ურთიერთობა, ოქტომბრის გადატრიალების დროს, ბოლშევიკებისათვის სასარგებლო იყო. ამავე დროს ეკუთვნის აგრეთვე მასიური (დამახინჯებულია).. ესერების პარტიისაგან. ესერების პარტიის დამოკიდებულება ბოლშევიკებისადმი ხასიათდება ჩერნოვის სიტყვით, რომ ბოლშევიკები წარმოადგენენ დეკლასიურ მასას იმ მატროსების და ჯარის-კაცობისა, რომელთაც არაფერი არ შეუძლიათ შექმნან.

მოსკოვი. 21 ივნისი (რადიო). რატნერი თავის ჩვენებაში კატეგორიულად უარჰყოფს ესერების „ცეკისტების“ მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს ესერების პარტია არ ემზადებოდა შეიარაღებული ბრძოლისათვის: ადგილობრივ და თვითეულ ორგანიზაციებს ქონდათ მიცემული დირექტივები მზად ყოფილიყვნენ გამოსვლისათვის. ცეკას განკარგულებით ესერების პარტიის მთელი მუშაობა მიმართული იყო იმისკენ, რომ მოემზადებინათ აჯანყებანი და გამოენახათ სათანადო ხელსაყრელი მომენტი საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

ბრალდებულთა დაკითხვის შემდეგ, რომელნიც არაფერს ახალს არ უმატებენ ესერების პარტიის პეტროგრადის პერიოდის მუშაობის დახასიათებას, თავმჯდომარე აცხადებს, რომ ტრიბუნალი გადადის ესერების პარტიის მუშაობის შემდეგი პერიოდის განხილვაზე.

— 20 ივნისს, მოსკოვში გაიმართა აღშფოთების გრანდიოზული დემონსტრაცია ესერ-მკვლელების წინააღმდეგ, ესერების ხელებისაგან მოკლული მუშათა ხელმძღვანელების ვოლოდარსკის და ურიცკის ხსოვნის აღსანიშნავად. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა არა ნაკლებ 300.000 კაცისა. მოსკოვის მოედნები და ქუჩები გაჭედილი იყო ზღვა—ხალხით; ქუჩები და მოედნები წარმოადგენდენ ნამდვილ პროლეტარულ ბანაკებს. დემონსტრანტებს შორის მრავალი ქალებია და ახალგაზრდობა; თვალში გხვდებათ განსაკუთრებით მუშური შემადგენლობა დემონსტრანტებისა გაქონილი ხალათები, გამტვერიანებული პირისახე, დაკოჟრილი ხელები. მთელი ფაბრიკებისა და სახელოსნოების მუშები ერთსულოვნად მოხსნილან მუშაობიდან და მოსულან, რათა მოითხოვონ მკაცრი სასჯელი რევოლიუციის გამყიდველებისათვის და გამოხატონ ერთგულება მუშურ-გლეხური ხელისუფლების მიმართ. რამოდენიმე ათეული ორკესტრი აძლიერებს დემონსტრაციის სიდიადეს. ზღვა დროშათა შორის განსაკუთრებით ირჩევა დროშები შემდეგი ლოზუნგებით: „ძირს მოღალატენი“, „სიკვდილი მუშათა კლასის მკვლელებს“, „პატიება მონანიებულთ“, „ესერები—პარტიაა ახალი ომისა და ახალი ინტერვენციის, მათ სურთ, რომ საბჭოთა რუსეთი კვლავ შთანთქას ცეცხლის ალმა“. წითელ მოედანზე, დემონსტრაციის ცენტრალურ ადგილას, ძმათა სასაფლაო ყვავილებით არის მორთული. დემონსტრანტები 2 საათიდან დაწყებული 8 საათამდე მიმოდიოდენ ტრიბუნალის შენობის წინ და ქუჩებსა და მოედნებზე გაისმოდა მათი ძლიერი მოთხოვნილება ესერების დასჯის შესახებ. მუშათა მრავალ-რიცხოვანმა ჯგუფმა წერილობითი მოთხოვნილება გადასცა პიატაკოვს ესერების მკაცრად დასჯის შესახებ. წითელ მოედანზე სიტყვები წარმოსთქვეს კამენევმა და კრილენკომ. დემონსტრაციას მიესალმენ კომინტერნის წევრები, კლარა ცეტკინა, რადეკი, სადული, ხაიუტი, ბუხარინი და სხვები, სხვა და სხვა ევროპიულ და აღმოსავლეთის ენებზე კამენევმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მოსკოვმა გადასწყვიტა უჩვენოს მთელ ქვეყანას თუ როგორ სცემს იგი პატივს მათ ხსოვნას, ვინც სიცოცხლე შესწირა რევოლიუციასა და კომუნიზმს:

„მშრომელთა რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა თავის მოვალეობად ჩასთვალა, გაეცხადებულიყო თქვენს, მოსკოვის პროლეტარიატის წინაშე ანგარიშის ჩასაბარებლად, აცხადებს ცხარ ტაშის ცემით შეგებებული უმაღლეს ტრიბუნალის თავმჯდომარე რომელიც აცნობს დამსწრეთ პროცესის მსვლელობას და შემდეგნაირად ასრულებს თავის სიტყვას: ამხანაგებო, შეგიძლიათ დამშვიდდეთ, უდანაშაულონი გამართლებული იქნებიან, ხოლო დამნაშავენი კი ვერ გაექცევიან სასჯელს. ჩვენი მტრები სცდილობენ ჩვენ მიდგომილობაში დაგვდონ ბრალი. ჩვენ მიუდგომელად გამოვარკვევთ ჭეშმარიტებას. ჩვენ დიდის მიუდგომლობით ვექცევით ბრალდებულებს. და თუ დამტკიცებული იქნება, რომ ესერების პარტიის ცეკა გადაჭრით იარაღით ხელში ებრძოდა ქვეყნად პირველ მუშურ-გლეხურ რესპუბლიკას მაშინ განაჩენიც იქნება სათანადო სამაგიეროს გადახდა. მე არ შემიძლია ვიწინასწარმეტყველო, რა შინაარსის იქნება განაჩენი, მაგრამ გეტყვით, რომ ის იქნება სამართლიანი“.

ბრალმდებელი კრილენკო თავის სიტყვაში აცხადებს: „სასამართლომ უკვე დაამტკიცა ესერების ბოროტმოქმედება. თვით ბრალდებულებმა აღიარეს, რომ ისინი აწარმოებდენ და მომავალშიც განაგრძობენ თუ კი ამის საშუალება მიეცათ, შეიარაღებულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ განვაგრძობთ პროცესს, ვინაიდან გვინდა, როგორც საბჭოთა რუსეთის მუშებმა და გლეხობამ ისე დასავლეთის პროლეტარიატმა კარგად გაიგოს, ვინ არიან მემარჯვენე ესერები“.

შემდეგ სიტყვას ამბობს პეტროგრადელი მუშა ალექსეევი, რომელიც გამოგზავნა პეტროგრადის პროლეტარიატმა, რომლის მეთაურიც ვოლოდარსკი მოკლულ იქმნა ესერებისაგან. ალექსეევი აცხადებს, რომ პეტროგრადის პროლეტარიატი დღეს მარსის მოედანზე, ვოლოდარსკის საფლავთან აწყობს დემონსტრაციას და მოითხოვს პროლეტარულ სამართალსა და სასჯელს ჩვენი მეთაურების მკვლელების წინააღმდეგ. მრავალრიცხოვანი საზოგადოება უპასუხებს მედგარი ამოძახილით: „გაუმარჯოს პროლეტარულ სასამართლოს, სიკვდილი ესერებს“!

შუაღამემდის პროლეტარული მოსკოვი არ წყნარდება და დაიარება მოსკოვის ქუჩებზე ჯგუფ ჯგუფად რევოლიუციონური სიმღერებით, გამოხატავს რა თავის ზიზღს ესერების წინააღმდეგ.

— რევოლიუციონურ ტრიბუნალში საღამოს სხდომა ნორმალურად მიმდინარეობდა. სხდომის დასასრულს სასამართლოს დარბაზში შემოდის მოსკოვის სხვა-და-სხვა რაიონების და წარმოებათა მუშა-დელეგატების ჯგუფი, რომელიც სთხოვს რევტრიბუნალის თავმჯდომარეს გამოაქვეყნოს ის რეზოლიუციები, რომლებიც მიღებულ იქნა მუშებისაგან ესერების პროცესის შესახებ. სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ მუშებისა და მუშაქალების ჯგუფი ადის ტრიბუნაზე და რიგ-რიგად თვითეული მათგანი აქვეყნებს დეკლარაციას, რომლითაც ისინი მოუწოდებენ რევტრიბუნალს მკაცრი სასჯელით დასაჯონ მუშათა კლასის ის მოღალატენი, რომელნიც ყველაზე უფრო მძიმე წუთებში ზურგში მახვილს სცემდენ მსოფლიოს პირველ მუშურ სახელმწიფოს.

ორატორების სიტყვა უბრალოა, მაგრამ მტკიცე, ისინი ლაპარაკობენ მოსკოვის იმ პროლეტარიატის სახელით, რომელიც დღეს სავსებით გამოეფინა ქუჩებზე და დაავალა მათ გამოუცხადოს რევტრიბუნალს მოსკოვის პროლეტარიატის ნების ყოფა.

ყველაზე უფრო საინტერესო იყო ძველი მუშის ივანოვის გამოსვლა, რომელიც იყო თავმჯდომარედ სწორედ იმ მიტინგისა, რომლის დასრულების დროს მოხდა ლენინზე თავდასხმა, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა მიტინგზე. უბრალო მუშური სიტყვებით, ივანოვი მოუთხრობს აუდიტორიას თუ როგორ თვითონ მან შეხედა, რომ ყაფლანის ქალი, რომელსაც იგი წინადაც იცნობდა ნერვიულობდა და ელოდა რაღაცას. როდესაც ამ უკანასკნელმა ესროლა ლენინს ივანოვი გამოეკიდა მას და პირადად დაიჭირა იგი.

მუშა—ივანოვის სიტყვებს დარბაზი ხვდება დიდი და ხანგრძლივი ტაშის ცემით.

ჰააგის გარემო

„არა რუსული კომისია“.

ბორდო. 20 ივნისი (რადიო). დღეს 15 საათზე, ყველა დელეგაციების მონაწილეობით გაიმართა კონფერენციის სხდომა, რომელზედაც ბენუამ განაცხადა, რომ საფრანგეთი მიიღებს მონაწილეობას 26 ივნისის სხდომაში. დაარსებულ იქნა „არა რუსული“ კომისია, რომელიც შეიკრიბება 27 ივნისს და ამოირჩევს 3 ქვეკომისიების თავმჯდომარეებს.

შეწყვეტის მიზეზები.

ნაუენი. 20 ივნისი (რადიო). კონფერენციის მუშაობა შეწყდა დროებით იმისთვის, რომ გადამუშავებულ იქნეს მოქმედების საერთო ხაზი საბჭოთა მთავრობის მიმართ.

ლიტვინოვის განცხადება.

ნაუენი. 20 ივნისი (რადიო). რუსეთის დელეგაციის მეთაურმა ლიტვინოვმა განაცხადა, რომ იგი მტკიცედ განაგრძობს იმ პოზიციას, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ დაიჭირა გენუაში და რომელიც მოიწონა სახალხო კომისართა საბჭომ. ლიტვინოვმა მწუხარება გამოსთქვა იმის შესახებ, რომ ლლოიდ-ჯორჯი მოითხოვს საერთო ხელშეკრულების დადებას, რომელიც არსებულ პირობებში და საფრანგეთის ოპოზიციის დროს, შეუძლებელი რამ არის.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

გერმანიის ფინანსები.

ნაუენი. 19 ივნისი (რადიო) გერმანიის სესხის მიღების საკითხის უარყოფითად გადაწყვეტამ ისეთი ძლიერი გავლენა მოახდინა გერმანიის ფულის გადახურდავების ბაზარზე, რომ ფასებმა უნდა აიწიოს სათანადოთ და ამგვარადვე უნდა მომატებულ იქნეს სატარიფო განაწევრიც. მეორეს მხრივ გერმანიაში საბაზრო ფასების სიპატარავე, ხელს უწყობს საზღვარ-გარეთულ შეკვეთათა რიცხვის გადიდებას.

გარანტიების კომისია.

ნაუენი. 19 ივნისი (რადიო). საერთაშორისო საგარანტიო კომისიის მუშაობა დასრულდება ბერლინში ორშაბათს გერმანიის კაბინეტის თანადასწრებით.

იძულებითი სესხი.

ბორდო. 19 ივნისი (რადიო). რეიხსტაგში დაიწყო იძულებითი სესხის პროექტის განხილვა. პროექტი გადაეცა საფინანსო კომისიას.

რეიხსტაგის პრეზიდენტის არჩევნების გამო.

ბორდო. 19 ივნისი (რადიო). ვირტი პარტიების წარმომადგენლებთან ერთად იხილავს საკითხს სასურსათო კანონის შესახებ და აგრეთვე გერმანიის რეიხსტაგის პრეზიდენტის მომავალ არჩევის საკითხს: რადგანაც ძალიან გაძლიერდა გერმანიაში მონარქისტული მიმდინარეობა და ამასთან მოახლოვებულია გერმანიის რეიხსტაგის პრეზიდენტის არჩევნები, გერმანიის კომუნისტური პარტიის კომიტეტი მოუწოდებს გერმანიის პროლეტარიატს გაერთიანებისაკენ, კონტრ-რევოლიუციის საწინააღმდეგოთ ბრძოლისათვის.

კილის ნავთსადგურის მექანიკოსების და ტეხნიკების გაფიცვა.

ბორდო. 19 ივნისი (რადიო). სტრასბურგიდან იტყობინებიან, რომ კილის ნავთსადგურის წარმოებათა მექანიკოსებმა და ტეხნიკებმა გამოაცხადეს გაფიცვა. წარმოების მეპატრონეებმა განაცხადეს, რომ თუ მუშაობა დღესვე არ იქნა განახლებული, გამოცხადებული იქნება ლოკაუტი.

ბურჟუაზიის ნდობა.

ნაუენი. 10 ივნისი (რადიო). შინაგან საქმეთა მინისტრმა სოციალისტმა სევერინგმა, პრუსიის ლანდტაგში წარმოსთქვა სიტყვა კენიგსბერგში ამ უკანასკნელ ხანებში მომხდარი ამბების შესახებ; მან განაცხადა, რომ იგი „სარგებლობს საკმარისი ნდობით, როგორც [illegible] შების მხრივ“, რომელიც სავსებით იმის დამარწმუნებელია, რომ ყოველგვარი ცდა არსებული მთავრობის ჩამოგდებისა და კონსტიტუციის შეცვლისა, დამარცხებული იქნება.

ოკუპაცია.

ნაუენი. 20 ივნისი (რადიო). მომავალ კვირაში დამატებით გაგზავნილი იქნება საფრანგეთის ჯარების 6,000 კაცი, კობლენცში მყოფი გარნიზონის გასაძლიერებლად.

სოციალისტური კონგრესი.

ბორდო. 20 ივნისი (რადიო). ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ლეიპციგში გაიხსნა გერმანიის სოციალისტური პარტიების მე 2 კონგრესი.

ხორბალის გაყიდვის შეზღუდვა.

ბორდო. 10 ივნისი (რადიო). გერმანიის რეიხსტაგში დაიწყო ხორბალის გაყიდვის შეზღუდვის კანონ-პროექტის განხილვა; ეს ხორბალი 1919 წლის მოსავლის დროს არის შეკრებილი. პროექტის მიხედვით შეზღუდვიდან თავისუფლდებიან ის იმამულენი, რომელთაც 5 გექტარზე უფრო ნაკლები მიწა აქვთ.

ავსტრია

თხოულობენ შეარიგონ.

ნაუენი. 20 ივნისი (რადიო). ავსტრიამ და ჰუნგრეთმა მიმართეს თხოვნით ერთა ლიგას თავიანთი საზღვრების საკითხის მოწესრიგების შესახებ.

ჰუნგრეთი

ხორტის გადადგომა.

ბორდო. 19 ივნისი (რადიო). ვენიდან იუწყებიან, რომ ვინაიდან ხორტის, პარლამენტში ლიბერალებისა და სოციალისტების გამოსვლა, მიაჩნია თავის პირად დამარცხებათ, ამიტომ იგი გადადგომას აპირებს. ფიქრობენ, რომ მის მოადგილეთ იქნება გრ. ბეტლენი.

ხორტის მოადგილე.

რომი. 20 ივნისი (რადიო). ჰუნგრეთის პრესა იტყობინება, რომ ხორტის მოადგილეთ, ეჭვს გარეშე, იქნება გრაფი ბეტლენი, რომლის კანდიდატურასაც აერთიანებს თითქმის ყველა პარტიებს, მონარქისტული მიმდინარეობისაც კი.

საფრანგეთი

სოციალისტები საფრანგეთში.

ნაუენი. 20 ივნისი (რადიო). დეპუტატ სანტიეს მიერ პარიზში მოწვეული კრება, ხალხთა შერიგებისა და ევროპაში სოლიდარობის განმტკიცების შესახებ, ჩაშლილ იქნა სოციალისტებისაგან.

პროლეტკულტი

I

1) რატომ არის საჭირო პროლეტკულტი.

მართალია, ჩვენი ხალხი როცა ამბობს: „კეთილი და განათლებული ცხოვრება კარგია, კაი დაგემართოსო“, ის ამით უმთავრესად ცხოვრების ნივთიერ პირობებს ჰგულისხმობს—„კეთილს და განათლებულს“ ბინას, „კეთილსა და განათლებულს“ ჩაცმა-დახურვას და „კეთილსა და განათლებულს“ სმა-ჭამას,—მაგრამ ამასთან ის „კეთილსა და განათლებულს **გრძნობა გონებასაც**“ ჰგულისხმობს. **„რაღაა იგი სინათლე, რახაცა ახლავს ბნელია“**, ამბობს ის და ამ სიტყვებით ნათლად იხატება ის დიადი აზრი, რომ თუ **ნივთიერ სინათლეს სულიერი სინათლეც თან არ „ახლავს“, იგი მაშინ „აღარაფერია“.**

ამნაირათ თვით ხალხისავე შეგნებით ადამიანის **ნივთიერ განვითარებას**, მის „კეთილსა და განათლებულ“ ნივთიერ ცხოვრებას **„თან სდევს“ სულიერი განვითარება, „კეთილი და განათლებული გრძნობა-გონება“.**

მეცნიერულად ეს აზრი მოკლეთ ასე გამოითქმება: **ეკონომიკის განვითარების ე. ი. ნივთიერი კულტურის საფუძველზე ჩნდება და ვითარდება ადამიანის იდეოლოგია, ანუ სულიერი კულტურა.** ეს დებულება დღეს უცილობელი ჭეშმარიტებაა, ის ჩვენი აზროვნების საფუძველია.

სადაო და გამოსარკვევი, საკამათო კითხვა იმაში მდგომარეობს, 1) თუ როგორ და რა პირობებში ჩნდება ეს იდეოლოგია ეკონომიკის საფუძველზე, 2) როგორ შენდება-ეწყობა ეს „ზედ ნაშენი“ ამ საფუძველზე და 3) რა მნიშვნელობა-დანიშნულება აქვს მას ადამიანის ცხოვრებისათვის.

აი აქ, ამ კითხვებში ბევრი რამ არის სადაო და საკამათო, ბევრი რამ ისტორიულ-კლასობრივი თვალსაზრისით პროლეტარიატისათვის მიუღებელია და ამიტომ არის საჭირო ისეთი პროლეტარული ორგანიზაცია, რომელიც კაცობრიობის მთელი კულტურის გარკვევა-განხილვას, გადასინჯვას ამ თვალსაზრისით იკისრებს და პროლეტარულ ეკონომიკის საძირკვლებზედ მომავალ ახალ საკაცობრიო ხელთუქმნელ სასახლეს ააგებს.

ისტორიკოსები კაცობრიობის კულტურას მხოლოდ „ისტორიული“ თვალსაზრისით არკვევდენ და სწავლობდენ, მარა ჩვენ ამით ვერ დავკმაყოფილდებით. აშკარაა ისტორიულს დაერთვის კლასობრივი და ასე ამნაირათ აღნიშნული საგანი ისტორიულ კლასობრივი თვალსაზრისით შესწავლილ უნდა იქნას.

„ისტორიული“ თვალსაზრისით კულტურა მხოლოდ ორგვარია: „აღმოსავლეთური“ და „დასავლეთური“, ხოლო ისტორიულ - კლასობრივი თვალსაზრისით ის არის: 1) პირველ ყოფილ პრიმიტიული, 2) ავტორიტარულ-პატრიარქალური, 3) ავტორიტარულ-ფეოდალური, 4) ავტორიტარულ-ინდივიდუალურ - ბურჟუაზიული და 5) კოლექტიურ-პროლეტარული. ბევრს დღესაც არ სჯერა, რომ კულტურა არის ბურჟუაზიულიც და პროლეტარულიც.

აი რატომ არის აუცილებლათ საჭირო, რომ ეს საკითხი თვით პროლეტარიატის ახალმა კოლექტიურმა ორგანიზაციამ გამოარკვიოს.

ასეთი პროლეტარული ორგანიზაცია კი დღეს არის **პროლეტკულტი**, რომელიც რუსეთის რევოლიუციურ პროლეტარიატის წიაღიდან იშვა და დღემდე **კულტურულ ფრონტზე** მედგარ გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებს.

ამნაირათ პროლეტკულტის მიზან-დანიშნულება სამ გვარია: 1) კრიტიკული, 2) შემოქმედებითი და 3) გამაერთიანებელი.

2) ეკონომიური და კულტურული ფრონტი.

ისტორია გვასწავლის, რომ ადამიანის კოლექტიური შრომისა და ბრძოლის პროცესში **წარმოიშვა მისი კულტურა.** როგორც ტეხნიკური ისე იდეიური, როგორც ეკონომიური ისე იდეოლოგიური. კოლექტიურ შრომისა და ბრძოლის პროცესში წარმოიშვა ადამიანის **ენა-სიტყვა**, ხოლო სიტყვის, ანუ ცნების სიმბოლოს საშუალებით დაიწყო მან აზროვნება-ფიქრი. ამნაირათ სიტყვის, **ენის კულტურა, წარმატება, ეს კულტურა და წარმატება იყო ადამიანის აზროვნების.**

მაგრამ განვითარების მაღალ საფეხურზე კაცთა კოლექტივი, ე. ი. საზოგადოება მარტივი მდგომარეობიდან გადავიდა რთულ მდგომარეობაში: ის დაიყო კლასებათ, და თვითეული კლასის კოლექტიურმა შრომამ და ბრძოლამ წარმოშვა მათ-მათი განსხვავებული შეგნების, შემეცნების განსხვავებული ფორმა. ამნაირათ წარმოიშვა კლასობრივი ენა-სიტყვა და იდეოლოგია, ანუ კულტურა.

აბა დაუკვირდით მსხვილი ბურჟუა-კაპიტალისტის და მისი გამომხატველი ბურჟუა-ინტელიგენტის სიტყვა-ენას და მერე შეადარეთ მას მუშა პროლეტარის სიტყვა—ენა და ნათლათ დაინახავთ, თუ რაოდენი განსხვავებაა მათ შორის.

უცილობელი ფაქტია, რომ ჩვენ ქართველებს, მაგალითად რომელთაც რუსული ენა ინტელიგენტური მწერლობის საშუალებით გვისწავლია, რუსის გლეხის და მუშა-პროლეტარის ენა ნაკლებად გვესმის.

როცა მაგალითათ ლევ ტალსტოის დრამას „Власть тьмы“ ის—ვკითხულობთ, მომქმედი პირების საუბარი თითქმის არ გვეყურება. დარწმუნებული ვარ ასე ემართებათ თვით რუსის ბურჟუა-კაპიტალისტებსაც, თუმცა მათ „სამშობლო“ ენა არა თავისი „ღვიძლი დედის“, არამედ ძიძის, მუშა ქალის „ძუძუსთან ერთათ“ შეუთვისებიათ. რათ ხდება ეს?

ცხადია იმიტომ, რომ თვითეულ კლასს თავისი საკუთარი ენა აქვს, რომლის საშუალებით ის **თავის საკუთარ იდეოლოგიას ხატავს.**

უცილობელი ისტორიული ფაქტია ისიც, რომ კაცობრიობის მთელი წარსული ერთნაირი, ერთი გაბმული სწორი თვალუწვდენელი გზა არაა, არამედ ის მიხვეულ-მოხვეული, მიკიბულ მოკიბულია და კიბესავით ნაშენია: დაბალი საფეხურიდან თანდათან მაღალ საფეხურებზე ადის, რომლებიც კატეგორიებათ იყოფა.

ისტორიული მეცნიერება ამ საფეხურებს უწოდებს **„ფაზას“**. ხოლო კატეგორიას, ესე იგი რამდენიმე საფეხურს გაბმით—**ეპოქას.**

თვითეულ ეპოქაში კაცთა კოლექტივს, საზოგადოების ერთი განსაზღვრული კლასი ბატონობს და ხელმძღვანელობს, ესე იგი ეს გაბატონებული კლასი ამ ეპოქაში თავის **კლასობრივ დიქტატურას** ატარებს, ანხორციელებს.

კაცთა საზოგადოება კი აგებულია ორ საფუძველზე—ეკონომიურზე და კულტურულზე, ესე იგი, იდეოლოგიურზე და ამ ორში ძირითადი არის ეკონომიური.

ამიტომ, როცა რომელიმე კლასი ცდილობს თავისი დიქტატურა განამტკიცოს, იგი ამის მისაღწევად ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ორივე ამ აღნიშნულ საფუძველზე გამაგრდეს.

ასე მოქმედებს დღემდე ბურჟუაზია, ასე მოქმედებს დღეს პროლეტარიატიც.

ძველი გენუიას ვაჭრების თავდაუზოგველმა „მოღვაწეობამ“ შეჰქმნა ევროპის კაპიტალის ჩანასახი ჯერ ისევ მე-13 საუკუნეში და მეოცე საუკუნეში იმავე გენუიაში და ჰააგაში ცდილობენ ბებერი ევროპის იმპერიალისტ კაპიტალისტები, რომ კაპიტალიზმის სიცოცხლე ეკონომიური საფუძვლის გამაგრებით გაახანგრძლივონ.

მარა არა ნაკლებ ცდილობენ ისინი, რომ თავიანთი კულტურული ფრონტი გაამაგრონ.

ასევე ცდილობს პროლეტარიატიც: რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის დელეგაციის სახით მისი საერთაშორისო დიპლომატიურ ასპარეზზე გამოსვლა, ეს კულტურულ ფრონტზე გამოსვლა იყო, რომელზედაც მან ბრწყინვალედ გაიმარჯვა.

ისტორია მოწმობს, რომ, როცა რომელიმე კლასი ქვეყნათ გაბატონებულია, ქვეყნათ ვრცელდება და ბატონდება მისი კულტურაც.

ძველ დროში, როცა ქრისტიანული კულტურა გამაგრდა და როცა ის თითქმის ყველა კულტურულ ქვეყნებში გავრცელდა, მან სპეციალური აგენტების, „მისიონერების“ მეოხებით „უკულტურო“ ქვეყნებშიაც გავრცელება-გაბატონება იწყო.

ხოლო კაპიტალისტურ ხანაში ბურჟუაზიული იდეოლოგები „უკულტურო“ ქვეყნებს არ დასჯერდენ და თავისი კულტურა „პოპულიარიზაციისა“ და „კულტუროსნობის“ გზით ხალხში „მდაბიო“ მასსებში შეიტანეს და გაავრცელეს.

არ დარჩენილა კულტურის არც ერთი დარგი, რომ მათ იგი იქ თავისებურათ არ მოეწყოთ.

ბურჟუაზია ამისთვის მილიარდებს ხარჯავდა და ახლაც ხარჯავს და ეს ანგარიშიანი, კრიჟანგი ვაჭარი, ცხადია უსარგებლოთ არაფერს დახარჯავს. მან კარგათ იცის, მას კარგად აქვს გამოანგარიშებული, თუ რამდენ სარგებელს მოუტანს მას თვითეულ მუშის თავისებურათ „გაკულტურებაზე“ დახარჯული თითოეული მანეთი.

კულტურა რომ ერთი, ზოგად კაცობრიული, ზეკლასიური იყოს, ცხადია, ბურჟუაზია მაშინ მისი გავრცელებისათვის თავს არ გაიცხელებდა და არც ერთ გროშს არ დახარჯავდა, ვინაიდან მისი მოქმედების მოტივი და ძარღვი მხოლოდ სარგებლიანობაა და აბა თუ კულტურის გავრცელება მას სარგებელს არ მისცემს, ცხადია, ის ამისათვის არც იზრუნებს.

მართალია, კაპიტალისტი მუშის კულტუროსნობას ანგარიშს უწევს და ზომებსაც ხმარობს, რომ მისი კულტუროსნობა მაღლა ასწიოს მხოლოთ კი იმ ანგარიშით, რომ ამით მისი შრომა გაანაყოფიეროს, რათა „ზედმეტი ღირებულება“ მის შრომას რაც შეიძლება მეტი გამოალებინოს. ეს არი და ეს, ამას იქეთ ის არასოდეს არ მიდის, ვინაიდან მან იცის, რომ სხვაფრივ გაკულტურებული მუშა, მისი მოსისხლე მტერია და სულთამხუთავი.

ეს კი არაა: ბოლო დროს, მონოპოლიურ კაპიტალიზმის ხანაში, როცა მუშის ფიზიკური ძალა მანქანამ საგრძნობლათ შესცვალა, კაპიტალისტები კულტურულ მუშას ასეთ საქმეზე, ესე იგი **უბრალო** სამუშაოზე უკულტურო მუშის დაქირავებას ამჯობინებენ, ვინაიდან ის უკულტურობისა გამო ნაკლებ ქირას ჯერდება. ევროპიელ კაპიტალისტს დღეს ამ მიზნით ყველას ურჩევნია ჩინეთელი მუშა—„კული“, ვინაიდან ეს „კული“ მას მეტ სარგებელს აძლევს.

ამიტომ დღეს ბურჟუაზია თავის ბურჟუაზიულ ზოგად კულტურასაც ვერ იმეტებს, ამაზედაც ძუნწობს და კაცობრიობის „უკულტურო“ ნაწილი ლამის სიბნელესა, ლოთობასა და ჭუჭყში ჩაახრჩოს.

ხოლო მეორე მხრით, როგორც ვიცით, იგივე ბურჟუაზია, არაფერს არ ზოგავს, რომ როგორმე მუშათა კლასის ზედა ნაწილები და მუშური ორგანიზაციები თავისი იდეოლოგიის, ესე იგი კულტურის გავლენის ქვეშ დააყენოს.

3. ბურჟუაზიული და პროლეტარული კულტურა, როგორც დამოუკიდებელი კლასობრივი შემოქმედება.

თავის გაჩენისა და აღორძინების პირველ ხანაში მუშათა კლასი ყოველმხრივ ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა; ის სრული მონა იყო ეკონომიურათ, მონა იყო იდეოლოგიურათაც.

მაგრამ კლასობრივ ინტერესთა წინააღმდეგობამ წარმოშვა კლასობრივი ბრძოლა და ამ დღიდან მუშათა კლასმაც თავისი შრომის და ბრძოლის ორგანიზაციის დაგვარათ თავისი **დამოუკიდებელი კულტურული შემოქმედებაც** იწყო.

პირველი ხანის ხელოსნურმა წვრილმა წარმოებამ შეჰქმნა ანარქისტული იდეოლოგია და ამ ხანაში ჩვენ ვხედავთ მუშათა კლასის **ანარქისტულ მოძრაობას**, რომელიც ყოველნაირი გაუმჯობესებული ტეხნიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. (მანქანების, რკინის გზების, წყლის მილების და ხიდების მტვრევა და უთავბედო აჯანყებანი).

მაგრამ ამავე გაუმჯობესებულ ტეხნიკის ნიადაგზე აღმოცენდა მეორე ნაირი, საღი და **პროგრესიული მუშათა მოძრაობა**, რომლის მთავარი იარაღი ეკონომიური გაფიცვა იყო. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ მუშათა კლასი იდეოლოგიურათაც წელში იმართება და პირველ იდეიურ კავშირს ჰქმნის.

ეს იყო ევროპიელ მუშა-„კომუნისტების კავშირი“, რომელმაც პირველმა მიიწვია მარქსი და ენგელსი, რომ ეს პირველი მუშათა კლასის ჭეშმარიტი მეგობარი ინტელიგენტები იდეოლოგიურ შემოქმედებაში მიშველებოდენ მათ. **ეს მოხდა 1847 წელს,** გერმანიის ბურჟუაზიულ-ეროვნული რევოლიუციის წინ.

აქ პირველათ მოხდა მსოფლიო მნიშვნელობის შეტაკება ბურჟუაზიულსა და პროლეტარულ კულტურის შორის და ჩვენ ვიცით, რომ მაშინდელმა ბურჟუაზიულმა სასამართლომ კარლ მარქსის სახით პროლეტარული იდეოლოგია—მარქსის გამოსვლა—საქმე **„გაარჩია“**,—გააკრიტიკა ის ფაქტი, რომ მარქსი გამართლდა, მოწმობდა პროლეტარიატის მომავალი კულტურის მძლეთა-მძლეობას.

და მართლაც 15 წლის შემდეგ, 1864 წელს გაჩნდა პროლეტარული ბრძოლის ორგანიზაცია—**პირველი ინტერნაციონალი**, რომელიც მუშათა კლასის საკუთარი კულტურული შემოქმედების ღვიძლი პირმშო იყო.

როგორც ხედავთ მუშათა კლასი კაპიტალისტური წარმოების ჩარჩოებშივე გამოვიდა **კულტურული დამოუკიდებელი შემოქმედების ასპარეზზე** და მან ამ ნიადაგზე პირველ ხანებშივე თავისი კულტურული შემოქმედების უდიდესი ქმნილებანი მოგვცა: **„კომუნისტური მანიფესტი“**, ეკონომიურ-მატერიალური ფილოსოფია (მუშა დიცგენის ფილოსოფია), ინტერნაციონალი და დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია!

ასეთივე დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა ერთ დროს ფეოდალურ-რელიგიური კულტურის წინააღმდეგ ბურჟუაზია და მან იმ დროს გაიმარჯვა კიდეც. მისი იდეოლოგიის **ენციკლოპედისტები** დღესაც სამაგალითონი არიან, მისი იდეოლოგიური გმირები დიდებას ისეთივე შარავანდედით არიან შემოსილნი, როგორც მისი რევოლიუციის გმირები: მირაბო, რობესპიერი და დანტონი.

ძლიერი, მეტათ ძლიერი იყო მისი იდეოლოგია, კულტურა და ამიტომაც შესძლო მან მთელი ქვეყანა თავის გავლენის ქვეშ დაეყენებია. მან დაიმონა არა მარტო მუშათა კლასი, არამედ ყველა „უკულტურო“ ხალხები.

დამოუკიდებლათ შექმნილი ის დამოუკიდებლობისათვის როდი იბრძოდა, არამედ მშრომელ მასათა და ხალხთა დასამონებლათ.

ხოლო პროლეტარიატი, ჰქმნის რა დამოუკიდებლათ თავის საკუთარ კულტურას, სრულ დამოუკიდებლობას ანიჭებს როგორც თავის თავს ისე ყველა ქვეყნების ერებს.

ინტერნაციონალი, მის მიერ შექმნილი, ეს ის ხელთ უქმნელი სასახლეა, სადაც ყველა ქვეყნის მუშა რა ეროვნებისაც უნდა იყოს ის, ერთნაირ კულტურულ შვებასა და ლხენას ჰპოვებს.

პროლეტარიატის დამოუკიდებელი კულტურა ჰქმნის ეროვნული კოლექტივის დამოუკიდებელ კულტურას და როგორც ხედავთ ის ბურჟუაზიულ კულტურისაგან ამ მხრითაც ძირითადათ განსხვავდება.

ამნაირათ კულტურა, ბურჟუაზიული კლასის შემოქმედებითი ძალების მიერ **დამოუკიდებლათ შექმნილი** ამ კლასისავე ინტერესების დასაცავათ და მისი კლასობრივი ბატონობის განსამტკიცებლათ არის **ბურჟუაზიული კულტურა**, ხოლო კულტურა, მუშათა კლასის იდეოლოგიური ძალების მიერ **დამოუკიდებლათ** შექმნილი პროლეტარული დიქტატურის გასატარებლად და პროლეტარული საზოგადოებრივი ორგანიზაციის, სოციალიზმის განსახორციელებლათ არის **პროლეტარული, კოლექტივისტური ანუ კომუნისტური კულტურა.**

რაჟდენ კალაძე.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ბუდუ მდივანი გენუის შესახებ

(თბილისის ქალაქის საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი).

ამხ. ბ. მდივანის მეორე მოხსენებამ გენუის შესახებ მიიზიდა დიდძალი რიცხვი მუშებისა—თბილისის ქალაქის საბჭოს, პროფ-კავშირების, ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების წევრები და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები. თუ პირველი მოხსენება ამხ. მდივნისა, რომელიც მატარებლიდან პირდაპირ კრებაზე მოვიდა, (15 ივნისს) იყო უმთავრესად მის მიერ გენუაში მიღებულ „შთაბეჭდილებათა" გაზიარება აუდიტორიისათვის, სამაგიეროთ მეორე მოხსენება შეეხებოდა თვით გენუის არსებით მხარეს და იმ ბრძოლას, რომელიც სწარმოებდა გენუაში ანტანტასა და საბჭოთა რესპუბლიკების მძლავრი კავშირს შორის.

ბევრი რამ მოხსენებაში ნათქვამი ცნობილი იყო ამხანაგებისათვის, ბევრი კიდევ პირველად მოისმინეს მათ. მაგრამ მთელი სამ საათიანი მოხსენება, რომელმაც აშკარად და მხატვრულად შეაერთა ყველა თვითეული მომენტი გენუის კონფერენციისა, განსაკუთრებული ყურადღებით იქნა მოსმენილი.

შეეცადა გამოსულიყო მოხსენების შემდეგ „ცნობილი" „პარიტეტული კომიტეტის" წარმომადგენელი მოქ. ასათიანი. მას არ უნდოდა ეთქვა, ვის სახელით ლაპარაკობდა იგი და მხოლოდ აუდიტორიის დაჟინებითი მოთხოვნილების შემდეგ განაცხადა, რომ იგი გამოდის არა კომუნისტების სახელით.

— **Господа!**—დაიწყო მან, მაგრამ უცბათ შეჩერდა აუდიტორიის საერთო სიცილში.

— ბატონებო!—შეეცადა გაესწორებია ქართულად, მაგრამ ხელახლავ შეჩერდა დამსწრეთა საერთო სიცილში.

პრეზიდიუმმა მისცა მოქალაქე ასათიანს სრული შესაძლებლობა გამოეთქვა თავისი აზრი 10 წამის განმავლობაში. მან დაიწყო ვრცელი დეკლარაციის კითხვა, საიდანაც შეიძლებოდა მხოლოდ ერთი რამის გაგება: რომ „პარიტეტულმა კომიტეტმა" უფრო კარგად იცის, ვინემ საბჭოთა დელეგატმა, რა ხდებოდა გენუაში და რომ „მენშევიკების გასტროლი" დასავლეთ ევროპაში დიდი ნაყოფიერებით მიმდინარეობს.

„სწორუპოვარმა რაინდმა" როგორც ეს მას უწოდა ამხ. ბ. მდივანმა, მიიღო ამ უკანასკნელისაგან სათანადო პასუხი.

„პარიტეტნიკები" სცდილობდენ დაეყენებიათ კენჭის საყრელათ თავისი რეზოლიუციაც, მაგრამ მან „პატრონი" არ აღმოუჩნდა: თავმჯდომარის ამხ. ლადო დუმბაძის შეკითხვაზე—გამოაქვეყნოს რეზოლიუცია თვით ავტორმა, —ასეთი ავტორი დარბაზში არავინ აღმოჩნდა.

რეზოლიუცია.

მოხსენების მოსმენის შემდეგ სამი ხმის წინაამდეგ, 3 თავი შეიკავა, მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„ქ. თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭომ, გაფართოებულ კრებაზე, პროფკავშირთა გამგეობების, ფაბრიკა ქარხნების კომიტეტებისა და არმიის წარმომადგენელთა თანადასწრებით, მოისმინა რა ამხ. ბუდუ მდივანის, გენუის კონფერენციაზე საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის დელეგაციის მუშაობის შესახებ მოხსენება, —სცნობს საბჭოთა დელეგაციის მოქმედების ხაზს სწორად, რომელიც იცავს ინტერესებს არა მარტო საბჭოთა ფედერაციის მშრომელი მასების, არამედ მთელი ქვეყნის მშრომელებისას.

პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნად პირველი რესპუბლიკის დელეგაციის სიმტკიცე, გახრწნილი ევროპიული იმპერიალიზმის წინაშე, საფუძველს აძლევს საბჭოთა ფედერაციის და მთელი ქვეყნის მშრომელებს იმედი იქონიონ შრომის კაპიტალზე ახლო მომავალში გამარჯვებისა.

თბილისის პროლეტარიატი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს იმ ორი ქვეყნის ბრძოლის მთელ მსვლელობას, რომელნიც შეეჯახენ ერთმანეთს გენუის კონფერენციაზე დ კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ჩვენმა პროლეტარულმა საბჭოთა დელეგაციამ, რომელიც ეყრნობოდა მშრომელთა ფართო მასებს და მთელი ქვეყნის დაჩაგრულ კლასებს, მიაღწია მთელ რიგ გამარჯვებებს,

თბილისის საბჭო ესალმება რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებას, რომელიც უეჭველად გამოიღებს დიად შედეგებს როგორც რუსეთის, ისე გერმანიის ეკონომიური ცხოვრების აღდგენის საქმეში.

თბილისის საბჭოს ეჭვი არ შედის იმაში, რომ მომავალ ბრძოლაშიც საბჭოთა ფედერაციის წარმომადგენლები მტკიცეთ დაიცავენ საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებს.

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის ავანგარდს—კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს.

მეგობრობა გრძელდება.

ბორდო 19 ივნისს. (რადიო). გაზ. „ტაიმსის" კორესპონდენტს პარიზში ბაასი ქონდა პუანკარეს მეგობართან, რომელმაც განაცხადა, რომ ინგლის-საფრანგეთის შორის აზრთა წინააღმდეგობა, ვერ შეარყევს მათ ურთიერთ დამოკიდებულებას, რომელიც კვლავ მეგობრული დარჩება. პუანკარეს პოლიტიკა ნათელია:

იგი დაიბადა ლოტარინგიაში და მიტომ პუანკარემ განსაკუთრებით კარგათ იცის ის საშიშროება, რომელიც მოსალოდნელია აღმოსავლეთიდან. პუანკარეს მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი ინგლისთან ერთად იმუშაოს ევროპის აღდგენისათვის.

საფრანგეთ-ისპანიის ხელშეკრულება.

ბორდო. 19 ივნისი. მადრიდის გარეშე საქმეთა სამინისტროს ცნობით საფრანგეთ ისპანიის ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნება მომავალ კვირის ოთხშაბათს.

ინგლისი.

პუანკარეს ლონდონში გამგზავრების გამო.

კრაუდენი 19 ივნისი. ლონდონის ოფიციალური წრეები ამტკიცებენ, რომ პუანკარეს აზრად არ აქვს ლონდონში ყოფნის დროს აწარმოვოს რაიმე პოლიტიკური მოლაპარაკება, ვერდენის ზეიმის გამო. ის დარჩება სულ 2—3 დღე.

პუანკარეს ლონდონში ჩასვლა.

ნაუენი. 19 ივნისი. პარასკევს პუანკარე ჩავიდა ლონდონში, მას შეხვდა ლორდი დერბი. „ლიბერტეს" სიტყვით პუანკარეს შეხვედრას ლოიდ ჯორჯთან არ ექნება განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა, ვინაიდან პუანკარეს თან არ ახლავს არც ერთი ოფიციალური პიროვნება და მას თან არ აქვს დოკუმენტები. მაგრამ ამავე დროს ლონდონის ფინანსიური წრეები დიდ მნიშვნელობას აძლევენ პუანკარეს დარბაზობას.

ინგლისი და ამერიკა.

ნაუენი. 19 ივნისი. ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ შემოდგომაზე შეერთებულ შტატებს გადაუხდიან 20 მილ. გირ. სტერლინგს, როგორც სამხედრო საჭიროებისათვის აღებულ სესხის პროცენტებს.

ზემო სილეზიის საკითხი.

პოლონეთი და ზემო სილეზია.

ნაუენი. 19 ივნისი. ვარშავიდან მიღებულ ცნობების თანახმად პოლონეთის მთავრობამ დააწესა განსაკუთრებული ორდენი ზემო სილეზიის დაკავებაში მონაწილეობის მიმღებთათვის. გერმანიის პრესა ფიქრობს, რომ პოლონეთი, ამგვარად, თავის თავზე კისრულობს სრულ პასუხის მგებლობას ზემო სილეზიაში მომხდარ აჯანყებისათვის.

ჩინეთი.

თანახმაა შეურიგდეს.

ჰანოვერი. 20 ივნისი. გენერალმა ვუ-პეი-ფუმ განაცხადა, რომ ის მზადაა დასდოს სამშვიდო შეთანხმება ჩრდილოეთ და სამხრეთ ჩინეთის შორის.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ახალციხის მაზრა. კობლიანის რაიონში. ღამით 13—14 ივნისს მთელს კობლიანის რაიონში. დაიწყო ყინვები. მთელი ნათესები სიმინდისა და უმეტესი ნაწილი კართოფილისა და ლობიოსი მოსპო ძირიანად. ძლიერ მძიმე მდგომარეობა იყო, განსაკუთრებით გვალვასთან დაკავშირებით, რომელიც მოსპობით ემუქრებოდა პურის ნათესებსაც. მაგრამ 15 ივნისიდან დაიწყო მსხვილი წვიმები სეტყვით; სეტყვამ გადაიარა მხოლოდ ტყეებზე, გარდა ერთი პატარა ნათესი ადგილისა და ამნაირად ნათესები თითქმის არ დაზიანებულა.

ხე ტყის გამოტანა მდინარით. უკვე დაწყებულია ხე-ტყის გამოზიდვა მდინარე გაგვით. გამოსატანია 400 საჟენი შეშა, რომელიც ეკუთვნის სამაზრო აღმასკომს; აგრეთვე სამხედრო უწყება აგზავნის მდინარით 4,000 ღერ ხეს, მდინარე კობლიან ჩაით. მაგრამ მუშაობას ხელს უშლის წყლის შესამჩნევი დაკლება ორივე მდინარეში. უკანასკნელმა წვიმებმა რამდენიმე ასწიეს მდინარეების დონე. ამ სეზონში სულ განზრახულია გამოტანილ იქნეს მდინარით 10,000 საშენებელი ხე.

სიმშილი. კობლიანის რაიონი უკვე ერთი თვეა რაც სიმშილობას განიცდის. მცხოვრებლები იკვებება ბალახებით. დამშეულთა დამხმარე სამაზრო კომიტეტი ზომებს იღებს მიღებულ სიმინდის გადასაგზავნათ ამ რაიონში. ორ თვეში სიმშილობს ორი ათასი კაცამდე. მდგომარეობა მწვავდება იმის გამო, რომ პურები გვიან იქნება მოწეული.

მეფუტკრეობა. მეფუტკრეობა მაზრაში შეადგენს სოფლის მეურნეობის ერთ მნიშვნელოვან დარგთაგანს. მიწის განყოფილების არაოფიციალური ცნობებით მაზრაში ითვლება 10 ათასზე მეტი სკა, რასაც შეუძლია მოგვცეს საქმის რაციონალურად დაყენების დროს 10—15 ათასი ფუთი თაფლი. მაგრამ მეფუტკრეობა არ არის სათანადო კულტურულ ნიადაგზე დაყენებული. აქამდის მეფუტკრეობის 9 მეათედს კიდევ არ აქვთ წარმოდგენა დიდანის სისტემის ყუთებზე და ფუტკარი ყავთ ფუღუროიან ხეებში და იძლევიან თაფლს 3—4 ჯერ ნაკლებს და იღუპება ხშირად სკა. ცუდ მოვლას და საქმესთან გაუცნობლობას შეუძლია დაღუპოს მთელი მრეწველობა. მიწის განყოფილებამ უნდა დააყენოს ეს საქმე სათანადო დონეზე და მოაწყოს ერთი-ორი საცდელი სკა, მიაწოდოს მეფუტკრეებს ყუთები და სხვა. თუ საქმე რაციონალურად იქნა დაყენებული, მაზრას შეუძლია მოგვცეს 20—30 ათას ფუთამდე თაფლი.

სურათების გამოფენა. სამაზრო პოლიტგანათლების განყოფილების მიერ ამ დღეებში მაზრაში იხსნება მხატვრების ლეტკარის და კაიფარჯიანის სურათების გამოფენა. მხატვარი ლეტკარი წარმომადგენელია პროლეტარული ხელოვნებისა. მიმდინარე შემოდგომაზე განზრახულია ეს გამოფენა გადატანილ იქნეს თბილისში და ერევანში. ეს მოვლენა პირველი შემთხვევაა მხატვრული გამოფენის საქართველოში.

აჭარა.

მილიციის შტატები. მილიციის სამმართველოს მიერ აღძრულმა შუამდგომლობამ მილიციის მთავარ სამმართველოს წინაშე ახალი შტატების შემადგენლობის შესახებ არ იქნა დაკმაყოფილებული.

ხოლერის საშიშროება. ხოლერის საშიშროებასთან დაკავშირებით სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატმა მოაწყო ხოლერისათვის სპეციალური ბარაკები. გადიდებულია სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის სანიტარულ განყოფილებასთან არსებული ეპიდემიის ქვეგანყოფილების შტატი, სადაც მოწყობილია სპეციალური მორიგეობა 24 საათის განმავლობაში სასწრაფო დახმარებისათვის. განყოფილება იკვლევს სასმელ წყალს. ყოველ დღე სწარმოებს ხოლერის საწინააღმდეგო შრატით უფასო აცრა.

ექსპორტის ჯამი. 1 მაისიდან 1-ლ ივნისამდე საბაჟოს ცნობებით ბათომის საბაჟოს ნავთსადგურიდან გატანილია შემდეგი საქონელი: ბზის ხე 1,51 ფუთი და 8 გირვ., ნავთი 51119 ფუთი ცემენტი 5,000 ფუთი, ნოხნბი 2370 ფუთი 37 გირვანქა, ძაგარი 116 ფუთი 34 გირ., აბრეშუმი 32 ფუთი 25 გირვ, ფრიზონი—616 ფუთი და 5 გირ., ნაწლავები—1334 ფუთი. ხიზილალა 1652 ფუთი 23 გირ., ბამბა 5895 ფუთი 8 გირ, ცხვრის ტყავი—4728 ფ., მელის ტყავი 30 ფ. 28 გირ., მატყლი 2485 ფ. 21 გირ., ქვა ნახშირი 200 ფ., მარგანეცი—152,500 ფ, ცხენის ძუა—99 ფ. 39 გირ., ძირტკბილა—154 ფ. 24 გირ., კანაფი—1000 ფ., ნუში—500 ფუთი, ბრინჯი 186 ფ. 9 გირ, ვერცხლი 20 ფ. 30 გირ., ოქროს ლირები 4 გირ. 30 მისხალი.

ბათომის ნავთსადგურში. 12 ივნისს მოვიდა შავი ზღვის ნავთსადგურებიდან 3 ფელიუგა ოსმალეთის ფლაგით დ 3 მოტორიანი გემი. ერთმა მათგანმა მოიტანა 250 ფ. სიმინდი დ 200 ფუთი სხვა და სხვა ტვირთი. დანარჩენები მოვიდა ცარიელი. ფოთიდან და სოხუმიდან მოვიდა ერთი მოტორიანი ნავი და ერთი იალქნიანი ნავი საბჭოთა რუსეთის ფლაგით. 1810 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით 13 ივნისს ოდესიდან მოვიდა საბჭოთა რუსეთის ფლაგით „ილიიჩი" 800 ტონი სხვა და სხვა ტვირთით და 197 მგზავრით. სტამბოლიდან მოვიდა ინგლისის ფლაგით. გემი „ედვინი" 1,100 ტონი სხვა და სხვა ტვირთით და 38 მგზავრით და გემი „ტადლა". 12 ივნისს წავიდა სტამბოლში იტალიის ფლაგით გემი „პერსია" 16 ტონი სხვა და სხვა ტვირთით და 15 მგზავრით. გამბურგში დანიის ფლაგით გემი „მარმარა" 325 ტონი სხვა და სხვა ტვირთით და 20 მგზავრით. როსტოვში საბჭოთა რუსეთის ფლაგით გემი „ჩერვონი კაზაკ" ცარიელი, ტრაპიზონში მოტორული ნავი „ლაზისტან" 400 ფუთი ბენზინით, 100 ფუთი სამანქანო ზეთით; ათინაში, ხოპაში და როსტოვში 3 იალქნიანი ნავი 3,020 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით; სოხუმში—ოსმალეთის ფლაგით 3 ფლიუგა 593 ფუთი მარილით თითოზე. 13 ივნისს წავიდა ხოპაში 1 ოსმალეთის ფელიუგა ცარიელი; სოხუმში—ნავი „საქართველოს კოოპერაცია" ცარიელი; ნოვოროსიისკში მოტორიანი ნავი „ლენინი" 5952 ფუთი სხვა და სვა ტვირთით.

კარანტინი. ნავთსადგურის მიმართ ბრძანების № 34 თანახმად, ბათომში ყველა ჩამოსულ უცხოელების გემებს ეკრძალებათ ნავთსადგურში შემოსვლა, სანამ იგინი არ შეასრულებენ კარანტინს. მოადგებიან რა ნავთსადგურს, გემები უნდა გაჩერდნენ რეიდზე, შავი ზღვის ნავთსადგურების შუა მავალი გემებიც ჩერდებიან დიდ რეიდზე.

ლტოლვილების გადაგზავნა. 14 ივნისს იტალიის ფლაგის ქვეშ სალონიკში გავიდა საბარგო გემი „პატრას" 2.500 ლტოლვილი ბერძნებით.

სასოფლო-სამეურნეო მანქანები ყუბანისათვის. დატვირთულია გემი „ილიიჩი" 100 ცალი სასოფლო სამეურნეო მანქანით, რომლებიც მიღებულია პრაგიდან ყუბანისათვის. მთელი პარტია მანქანების შესდგება სათესავებიდან, თივის ხკაფველებიდან, გუთნებიდან და სხვა, და გამზადებულია ჩეხიის ერთ-ერთ ფირმისაგან.

აფხაზეთი

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ზაფხულის თვეებში პოლიტგანათლების განყოფილება აი აწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას მაზრებში. შემოდგომამდე მოხდება აღრიცხვა წერა-კითხვის უცოდინარი მცხოვრებლებისა. ამ ჟამად სწარმოებს წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია პროფკავშირებს შორის და აღრიცხვა წერა-კითხვის უცოდინართა მილიციონერებს შორის. წერა კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ სოხუმის და მაზრაში რუსებით დასახლებული მცხოვრებლებისათვის დაიბეჭდა 250 საანბანო წიგნაკი.

თამბაქოს გატანა. სოხუმში მოელიან სტამბოლიდან უცხოეთის დიდ გემს 50.000 ფუთი თამბაქოთი დასატვირთავად, რომელიც გაყიდულია საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ. გაიარა სოხუმის ნავსადგური ფრანგულმა გემმა „მარშალ ფოშმა", რომელიც დატვირთულია თამბაქოთი. ეს თამბაქო გადმოტვირთულია დაპატიმრებული გემიდან „თავრიზი". „მარშალ ფოში" წავიდა გუდაუთში „თავრიზი"-სგან დარჩენილი თამბაქოს ასაღებად.

შავი ზღვის სანაპირო გზა-ტკეცილი. აფხაზეთის სახალხო კომისარიატთა საბჭომ მოისმინა მოხსენება გზებისა და სახელმწიფო აღმშენებლობის მთავარ სამმართველოს გამგის შავი ზღვის სანაპირო გზა-ტკეცილის მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკის ფარგლებში. მიიღო რა მხედველობაში, რომ ეს გზა-ტკეცილი არის მთავარი ძარღვი სახალხო მეურნეობის ცხოვრებისა მხარეში, ერთად ერთი მიმოსვლის საშუალება აღმოსავლეთ და დასავლეთ ამიერ-კავკასიაში, რომ გზა ტკეცილის მდგომარეობა ამ ჟამად კატასტროფიულია მის შეუკეთებლობის გამო 1914 წლიდან და მენშევიკური არმიისაგან უკან დახევის დროს მიყენებული დანგრევისაგან, და რომ აფხაზეთის მთავრობამ დახარჯა მიმდინარე წლის განმავლობაში გზატკეცილის შესაკეთებლად 1 მილიარდ მანეთამდე, და ეხლა თავისი ფინანსიური მდგომარეობის გამო არ შეუძლია შეასრულოს გზის აუცილებელი შეკეთება, რომელიც მოითხოვს —206,627 მანეთს ოქროთი, დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა საქართველოს სახალხო კომისარიატის საშუალებით საკავშირო საბჭოს წინაშე, რათა მიეცეს საჭირო თანხა წარდგენილი ანგარიშის მიხედვით, რომელიც საჭიროა გზა-ტკეცილის შესაკეთებლად აფხაზეთის საზღვრებში. ეს თანხა გადადებული უნდა იქნეს ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საშუალებებიდან, ვინაიდან გზა ტკეცილს მნიშვნელობა აქვს მთელი ამიერ-კავკასიის ფედერაციისთვის როგორც მისი ეკონომიური ცხოვრებისთვის, აგრეთვე უმთავრესად მისი თავდაცვის საქმისთვის; თუ შეუძლებელი გახდება ამ თანხის სრულ მოცემა, ნება მიეცეს აფხაზეთის კომისართა საბჭოს მოახდინოს სათანადო თანხის რაოდენობის ასაღებად აფხაზეთის სავალიუტო ფონდიდან თამბაქოს რეალიზაცია.

ეპიდემია მწვავე-გადამდებ ავადმყოფობის მსვლელობა სოხუმში მაისის განმავლობაში შემდეგია: პარტახიანი ტიფით ავადმყოფები 1 მაისისთვის იყო 33, თვის განმავლობაში კიდევ გახდა ავად 102. შებრუნებითი ტიფით ავად იყო 17, გახდა ავად კიდევ 6, ყვავილით გახდა ავად 8, მუცლის ტიფით 3, დიზენტერიით 3, ხოლერით 4, წითელი ქარით 4.

საბჭოთა პარტიულ სკოლებში. კომუნისტური პარტიის და ახალგაზრდათა კავშირის კომიტეტის პარტიული სკოლების შეერთებულ სხდომაზე დამშეულთა დახმარების შესახებ, კურსანტებმა, რომლებიც მცირე ულუფას ღებულობენ, დაადგინეს: აიყვანონ სკოლაში სრულ ხარჯზე 3 ბავში, რისთვისაც უნდა გადარიცხონ 25 პროცენტი ჯამაგირებისა და 5 პროცენტი მიღებული პროდუქტებისა.

გამოსაკვებად. სოხუმის ინდუსტრიალური ტეხნიკუმის მოწაფეთა ჯგუფმა აიყვანა გამოსაკვებად ვოლგაში დამშეული 10 ბავში. ტეხნიკუმის მსმენელებმა დაადგინა გადარიცხონ ერთი კვირის ულუფა და შეიტანონ 25000 მანეთი.

აზერბეიჯანი.

ნავთის ფრონტზე. 8 და 9 ივნისის განმავლობაში ამოღებულია ყველა ადგილებში 1.000.000 ფუთი. გამზადებულია გადასაქაჩავად 8 და 9 ივნისს 579.000 ფუთი: მიღებულია დაქაჩვიდან 671.000 ფუთი. გაწმენდილია 64.000 ფუთი, გატანილია რკინის გზით 113.000 ფ. 10 ივნისის განმავლობაში ამოღებულია ყველა ადგილებში 500.000 ფ. გამზადებულია გადასაქაჩავად 368.000 ფ. მიღებულია დაქაჩვიდან 364.000 ფ. გაწმენდილია 24.000 ფუთი.

11 ივნისს გატანილია ზღვით ბაქოდან ასტრახანში დაუმუშავებელი ნავთის პროდუქტები 1.025.685 ფ. პეტროვსკიდან ასტრახანში გროზნოს ნავთი 89.365 ფუთი; 12 ივნისს გატანილია ბაქოდან ასტრახანში 177.564 ფუთი ნავთი, 55.787 ფ. ზეთი, დაუმუშავებელი ნავთის პროდუქტები 509.490 ფუთი. პეტროვსკიდან ასტრახანში გროზნოს ნავთი 128.785 ფუთი. პეტროვსკიდან კრასნოვოდსკში 74.067 ფუთი.

პარტიული მუშაობა სურახანის რაიონში.

მაისის განმავლობაში სურახანის ორგანიზაციების მუშაობა წინა თვესთან შედარებით ბევრად გამოცოცხლდა, როგორც იაჩეიკებში, აგრეთვე რაიონულ კომიტეტებში და მის პრეზიდიუმებში. როგორც წინათ, მაისში მუშაობის საფუძვლად რაიონული კომიტეტი სთვლიდა პარტიის წევრების და კანდიდატების კომუნისტურ ნიადაგზე აღზრდას. პოლიტგანათლების განყოფილების სკოლა (თურქების) კარგად მუშაობდა. რიგიანად მუშაობდა მარქსისტების წრე. გადაწყვეტილია პოლიტიკური წრის გახსნა მე-5 კომუნ. იაჩეიკასთან, როგორც უფრო მეტრიცხოვანთან. რამდენიმე უპარტიომ თანხმობა განაცხადეს ჩაეწერონ იაჩეიკაში.

წერა კითხვის ლიკვიდაცია პარტიულ წევრებს შორის მაისში წარმატებით მიმდინარეობდა. წერა-კითხვის სკოლების მსმენელთა რიცხვმა მოიმატა. პარტიულებს შორის სწარმოებდა მუშაობა: მოწყობილი იქნა 4 მიტინგი, მათ შორის 3 თათრულ ენაზე სოფლებ ამირჯანს და ბინახში სასურსათო გადასახადის და სასოფლო მეურნეობის კომპანიის შესახებ და ერთი მიტინგი რუსულ ენაზე. ეწყობოდა მუსაიფი უპარტიო მუსულმანებთან. უპარტიოთა შორის სამუშაოდ არ არის საყოფი მუშაკები.

მოიმატა მუშაობამ ქალთა განყოფილებებში; მუშაობის უმთავრესი ყურადღება მიქცეულია შტატების შემოკლებას, ვინაიდან ეს უკანასკნელი შეეხო უმთავრესად მუშა ქალებს. გამოცოცხლდა მუშაობა აგრეთვე ახალგაზრდათა კავშირის კომიტეტში: მოწყობილია წრეები — პოლიტიკური, დრამატიული და სავარჯიშო. ახალგაზრდათა კავშირის კომიტეტის სხდომებმა ნორმალური ხასიათი მიიღო.

საქონელი საზღვარ გარეთიდან. ცენტრო-კავშირის მიერ საზღვარ გარეთ გაგზავნილმა ცენტრო-კავშირის ბაქოს კანტორის გამგემ ამხ. ფიშზონმა მოახდინა რეალიზაცია სტამბოლის და საზღვარ გარეთის ბაზრებზე აზერბეიჯანის და სპარსეთის პროდუქტებისა: მატყლის, ხიზალალასი, თევზის, წებოსი, ცხვრის ტყავის, ძაგრის, აბრეშუმის, ფრიზონის და სხვა... სულ 125.000 მან. ოქროთი. თავისი ოპერაციები ამხ. ფიშზონმა მოახდინა „არკოს" (ინგლისური კოოპერატიული საზოგადოება, რომლის თავმჯდომარედ იმყოფება ამხ. კრასინი) სტამბოლის განყოფილების საშუალებით. არკოსის დახმარებით სტამბოლში შეძენილია ტეხნიკური მასალა და საქონელი, რომელიც საჭიროა აზერბეიჯანისთვის. უმთავრესი საქონელი, რომელიც უკვე მიღებულია ბაქოში, არის: სახერხავები, თევზის საჭერა ბადეები, ძაფი, ავტომობილების ნაწილები, ტყავი, მარსელის საპონი, ელქტრონისათვის მოწყობილებანი, სანაფთეები, ფეხსაცმელები, შაქარი, კაკაო, ფქვილი, თუნუქი და სხვა... 25 მაისამდე უკვე მოვიდა ბაქოში 23 ვაგონი საქონელი. გზაში ბათომიდან იმყოფება 12 ვაგონი. ღირებულება ნაყიდი საქონლისა უდრის 300.000 მან. ოქროთი. მხოლოდ ნაწილი საქონლისა, გატანილი ამხ. ფიშზონისაგან, იყო გასაღებული კონსტანტინეპოლში, დანარჩენი „არქოსის" საშუალებით იქნა გადაგზავნილი ლონდონში, მარსელში და მილანში.

აზერბეიჯანის კოოპერაციის ყრილობა.

16 ივნისს ბაქოში გაიხსნა აზერბეიჯნის მეორე კოოპერატიული ყრილობა. ჩამოსულია 300 დელეგატი.

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

თესვის კომისიების ყრილობა

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი იწვევს 1 ივლისს სამაზრო მინდვრების დამთესს კომისიების ყრილობას, რომელზედაც გააკეთებენ მოხსენებას ადგილებიდან, მიმდინარე საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ, მცხოვრებთა და ადგილობრივ ხელისუფლების მისდამი დამოკიდებულება და აგრეთვე იქნება გამომუშავებული ინსტრუქცია, შტატები და ხარჯთაღრიცხვა მთავრობის მიერ სესხად დარიგებულ 420 ათასი ფუთი სათესლე მასალის ასაკრებად ამ მასალის, როგორც მუდმივ სათესლე, სახელმწიფო ფონდის, სამერმისოდ შესანახად ყრილობაზე მოწვეულნი იქნებიან დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები, როგორც სასურსათო სახ. კომისარიატის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსი და სხვ.

წვიმები მოდის აღმოსავლეთ საქართველოში ყველა მაზრებში წვიმები ხელს უწყობენ ჯეჯილის ზრდას.

პურის გაჭრა. აღმოსავლეთ საქართველოში უკვე დაიწყო ქერის გაჭრა, სიმინდის მოსავალი კარგი და საშუალოზე უკეთესია, ერთი კვირის შემდეგ დაიწყება პურის გაჭრა.

სტიქიური უბედურება აღარ იქნება.

ცნობები სტიქიურ უბედურებათა შესახებ, სეტყვის და სხვა სახით ცენტრალურ თესვის კომისიაში არ შემოსულა.

უწვიმობა დასავლეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველოდან ცენტრალურ თესვის კომიტეტს მოსდის ცნობები უწვიმრობის შესახებ, რაც ცუდად მოქმედობს ნათესებზე.

სასოფლო მეურნეობის მავნეები ოზურგეთის მაზრაში.

ოზურგეთის მაზრის ზოგიერთ რაიონებში სიმინდის ჭიამ და სხვა მწერებმა მიაყენეს დიდი ზიანი სიმინდის ნათესებს. ადგილობრივი სამაზრო თესვის კომიტეტი შუამდგომლობს ცენტრალურ თესვის კომიტეტის წინაშე, მისთვის ერთი ვაგონი სიმინდის მიცემის შესახებ იმ ყანების ხელმეორედ დასათესად, რომელიც დაზიანებულია მავნეთაგან. ცენტრალურ თესვის კომიტეტმა წინადადება მისცა სამაზრო თესვის კომიტეტს მოახმაროს ხელახალ დათესვას ის ერთი ვაგონი სათადარიგო საადრეო სიმინდი, კურორტების საჭიროებისათვის დიდძალი ფქვილი, შაქარი და სხვა პროდუქტები.

ჯანმრთელობის კომისიის საკურორტო კომისიამ, კურორტებზე სეზონის გახსნის დაჩქარების ღონისძიებათა გარდა, დაადგინა სთხოვოს ფინანსთა სახ. კომისარიატს, ერთდროულად 700 მილ. მანეთის გაცემა. აბასთუმანში განზრახულია მოეწყოს სავადმყოფო 12 საწოლით და სადეზინფექციო კამერა:

ქრონიკა

◆ **ოზურგეთის რკინის გზა.** ოზურგეთის რკინის გზის მომწყობმა ცენტრალურმა კომისიამ სცნო მიზან შეწონილად, აღნიშნული გზის გაყვანა, მიაბდოს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობისათვის. არჩეულია სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ოზურგეთ-ნოტანების რკინის გზის ტოტის მომწყობი კომიტეტი, რომელშიდაც შედის ინჟინერი კაციტაძე.

ინჟინერ კაციტაძეს, თუმანოვს და აბაშელს მიეხდო ოზურგეთის აღმასკომის რწმუნებულის ამხ. სარჯველაძის მონაწილეობით 5 დღის ვადაში გამოიმუშაონ გზის გაყვანის დაწვრილებითი გეგმა და ხარჯთაღრიცხვა როგორც მასალების ისე საჭირო ფულების.

ამას გარდა, დადგენილ იქნა აღძრან შუამდგომლობა ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს წინაშე, ყველა ტვირთების გადაზიდვა ოზურგეთის გზის საჭიროებისათვის სწარმოებდეს კრედიტით და სამსახურის ტარიფის მიხედვით.

სოფლებში გამოცდების შემდეგ ყანებში მუშაობის დაწყების გამო, სკოლებში მეცადინეობა შეწყდა. ოქტომბრიდან კვლავ განახლდება მეცადინეობა, ხოლო მაზრებში, ქალაქებში და დაბებში მეცადინეობა სწარმოებს შეუფერხებლათ. ტფილისში მოსწავლეთა გამოშვება მოხდა შემდეგ სკოლებში: რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს სკოლის რუსული ჯგუფიდან 6 კაცი, რევკ. სკოლ. (ქართული ჯგუფი) 8 კაცი, მუშტაიდის ფეიქართა სკოლიდან (ქართული ჯგუფი) 11 კაცი, საბჭოთა სახლი № 2 (ქართული ჯგუფი)—9 კაცი, სეილანოვის თამბაქოს ფაბრიკასთან არსებულ სკოლიდან (რუსული ჯგ.)—14 კაცი, თამბაქოს ქარხანა „მირ"-თან არსებულ სკოლიდან (რუსული ჯგუფი)—5 კაცი, ფეიქართა სკოლიდან „მეგუ" (სომხური ჯგუფი)—14 კაცი. ქალაქის წყალსადენ სახელოსნოსთან არსებულ სომხურ ჯგუფიდან—6 კაცი.

სტუდენტების სასადილოსთან არსებული რუს. ჯგ.—10 კაცი, საფაროვის თამბაქოს ფაბრიკასთან (რუსული ჯგუფი)—10 კაცი, სახელმწიფო ოპერასთან არსებულ სკ. რუსული ჯგუფიდან—10 კაცი, ცენტრალურ ცეცხლის მქრობელ რაზმთან არსებული სკოლიდან—12 კაცი.

ქალაქის პურის საცხობი № 2 ქართული ჯგუფი)—8. ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკა (რუსული ჯგუფი)—12, ბოზარჯიანცის ფაბრიკა (რუსული ჯგუფი)—14, ფეხსაცმელების სამხედრო სახელოსნო (რუსული ჯ.)—9, სეილანოვის თამბაქოს ქარხანა (სომხური ჯგ.)—6, ცეცხლის მქრობელი რაზმი № 2 (რუსული ჯ.)—14, „კახეთის" საწყობი (ქართ. ჯგ.)—4 კ., საბჭოთა ფაბრიკა „ინტერნაციონალი" (რუს. ჯგ.)—14, კერძო პურის საცხობის 1-ლი ქარხნის კომიტეტი (სომხ. ჯგ.)—18, მეტყავეთა კავშირი (რუს. ჯგ.)—12, კერძო პურის საცხობის მე-3 ქარხნის კომიტეტი (სომხ. ჯგ.)—14, სახალხო სასურსათო კომისარიატთან (რუსული ჯგ.)—13, მკერავთა კავშირთან (რუსული ჯგ.)—17, სეილანოვის თამბაქოს ფაბრიკასთან (რუს. ჯგ.)—9, სომხური ჯგუფიდან—5, ენფიანჯიანცის ფაბრიკიდან (რუსული ჯგ.)—8, წყლის წისქვილების ქარხნის კომიტეტთან (სომხური ჯგ.)—9, კოლოფების ფაბრიკა „ინტერნაციონალი" (ქართული ჯგ.)—13, ქალაქის ტრამვაისთან (სომხური ჯგ.)—9, ქართული ჯგუფიდან—10 კ., ქალთა განყოფილებასთან (ქართ. ჯგ.)—7, ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკასთან (რუსული ჯგ.)—7, „კომეტა"-სთან (რუს. ჯგ.)—8, „მეგუ" მკერავთა სომხური ჯგუფიდან 16 კაცი.

ჯგუფებში მსმენელთა სიმცირე აიხსნება ერთი მხრით მით, რომ წარმოებებს არ შეუძლია გაანთავისუფლონ წერა-კითხვის უცოდინართა საკმაო რაოდენობა სკოლებში სამეცადინოთ, ვინაიდან ეს გავლენას მოახდენს წარმოების ნაყოფიერ მუშაობაზე: მეორე მხრით ბევრი სკოლაში ჩაწერილები მოჰყვენ შტატების შემცირებაში და იძულებული იყვნენ მიეტოვებიათ სკოლები. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ კავშირებში წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის საქმე არ არის სავსებით კარგათ დაყენებული.

საზოგადოთ იმ კავშირებში, სადაც კულტ. განყოფილებას ენერგიული და საქმიანი ამხანაგი უდგას სათავეში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე ნაყოფიერად მიმდინარეობს, როგორც, მაგალითად გემოკვების სამრეწველოში.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

თამბაქოს ტრესტის მოღვაწეობა.

(მაისის განმავლობაში).

წარმოების ნაყოფიერება და სავაჭრო ოპერაციები.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თამბაქოს ტრესტის მუშაობა მაისის განმავლობაში მიმდინარეობდა ძალიან მძიმე პირობებში. ერთის მხრივ, სრული შეჩერება სავაჭრო ოპერაციებისა, რომელსაც ადგილი ქონდა ბაზარზე, რომელიც სავსებით დამოკიდებულია საქონლის ტრიალის საერთო მდგომარეობაზე (ასეთივე სურათი იყო ზაფხულის თვეებში მშვიდობიანობის დროსაც) და მეორეს მხრივ საოცარი ნაკლებობა ფულის ნიშნებისა,—არ აძლევდა საშუალებას თამბაქოს ტრესტს ფართოდ გადაეშალა თავისი სავაჭრო ოპერაციები.

წარსულ თვეებში, ბაზრის საერთო მდგომარეობის სისწორით შეფასების წყალობით, თამბაქოს ტრესტმა შესძლო შექმნა თამბაქოს სპეციალური ბაზარი, რომელიც თამბაქოს ტრესტის საქონლის ფართო მოხმარების გამო, აწარმ[illegible] სათანადო ფართო ოპერაციე[illegible]უნისტი), [illegible]

ამ უკანასკნელ[illegible]უნაშვილი (მემაო-ბაზში, თამბაქოს [illegible]).

თა ტრიალი ბ[illegible]

შემდეგ ციფრებ[illegible]

იანვარი	— 7,[illegible]
თებერვალი	—13,2[illegible]
მარტი	—13,2[illegible]

აპრილი —18 200 „ „
მაისი —19,380 „ „

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ თამბაქოს ტრესტის ოპერაციები შეუჩერებლად იზრდება. ბაზრის მოთხოვნილების ყურადღებით შესწავლის თამბაქოს ტრესტი იძულებული გახდა ერთგვარი უკან დახევა მოეხდინა როგორც თავის სავაჭრო პოლიტიკაში, ისე თვით წარმოების ნაყოფიერებაში.

ზოგადი ცნობები წარმოების მსვლელობის შესახებ, იანვრიდან მაისამდე, გამოხატავენ შემდეგ სურათს.

თვე	თამბაქო გირვანქობით	პაპიროსი ცალებით.	მუშა ძალის რაოდენობა	შრომის ინტენსივობა	
				თამბაქო გირვანქობ.	პაპიროსი ცალობით.
იანვარი	16.855.	24.910.000	13 404.	1,25.	1 855.
თებერვალი	20.942.	33.093 000	15.882	1.34.	2 129.
მარტი	29.563	30.882.000	17.489.	1,69.	1.942.
აპრილი	30.580.	39.641.000	16.147.	5,68.	2 420.
მაისი	57.909.	44.082 000	17.659	7,01.	2.466.

ეს ცხრილი გვაჩვენებს არა მარტო წარმოების ნაყოფიერების შეუჩერებლივ ზრდას, რომელიც მაისში ავიდა 102 მილიონ მოსაწევ ერთეულამდის, არამედ შრომის ინტენსივობის მნიშვნელოვანად გადიდებასაც.

ერთგვარ შეჩერებასაც ქონდა ადგილი წარმოების ნაყოფიერებაში, მაგალითად მარტში, მაგრამ ეს სულ სხვაგვარი მიზეზის შედეგები იყო, როგორც მაგალითად კარდონის ნაკლებობა, საეტიკეტო ქაღალდის უქონლობა და სხვა, რომელნიც სრულებით არ მოიპოვება ადგილობრივ ბაზარზე და ამიტომ თამბაქოს ტრესტს განსაკუთრებული დიდი ზომების მიღება სჭირდებოდა, რომ ფაბრიკებისათვის მიეწოდებია მათთვის აუცილებელი ნედლი მასალა. უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ იანვარში, დაბალი ხარისხის თამბაქოს გარდა, ნედლი მასალის ყველა ძველი მარაგი და აგრეთვე პირველ ხარისხოვანი თამბაქოც უკვე სავსებით გამოყენებული იყო და ამ ჟამად, უკვე ხუთი თვეა, თამბაქოს ტრესტს უხდება იმუშაოს შესყიდული ნედლი მასალით არ შეიძლება არ შევჩერდეთ თამბაქოს ტრესტის კოლოფის დამამზადებელ ფაბრიკის წარმოების ნაყოფიერებაზე.

თვე	კოლოფი ცალებით.	მუშა-ძალა.	1 მაჰ. ვერცხლით დღიურათ მ-დ.
იანვარი	502 400.	3.492.	144.
თებერვალი	734 556.	3.691.	198.
მარტი	993.500.	4.297.	231.
აპრილი	1.077.600	3 856.	279.
მაისი	1.184.000.	3.340.	354

ივნისში შესაძლებელია ერთგვარი დაცემა წარმოების ნაყოფიერებისა შემდეგი მიზეზით: ფაბრიკებში არის დიდი მარაგი დამზადებული პაპიროსებისა, რომელთა განაღდებაც ჯერ არ ხერხდება საერთო შეჩერების გამო. ამ რიცხვის გადიდება არ არის საჭირო არც მოთხოვნილების აუცილებლობით და არც მიზანშეწონილი იქნება, ვინაიდან თამბაქო პაპიროსებში ზაფხულის სიცხის გამო ხმება და კარგავს თავის თვისებას. მაგრამ ამ გვარი შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ ორი თვით, ხოლო შემდეგ კი წარმოების ნაყოფიერება ისევ შეუჩერებლივ გაიზრდება.

ბირჟაზე.

თბილისის ბირჟა.

ტფილისი. არა ოფიციალური კურსი უცხოეთის ვალუტის 19 ივნისს: გირვანქა სტერლინგი — 1.260.000. ფრანგული ფრანკი—25.000. ლირა იტალიის 15.000. ოსმალური ლირა ქაღალდის 196.000 ოქროს 10 მანეთიანი—1.280.000. ოქროს ლირა 1.070.000. დოლარი 290.000. მარკა გერმანული 1.000 1 მანეთიანი რუსეთის სოციალისტური საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკის ფულის ნიშანი 1922 წლის—500 მან. აზერბეიჯანის 4,5 პროც

ბათომის ბირჟა.

ბათომი ოფიციალური ბიულეტენი ბათომის სავალიუტო ბირჟისა 16 ივნისისათვის: დოლლარი—143—147 პიასტრი. გირვანქა სტერლინგი—640—650. 20 მარკა—88 ნახ. 20 ფრანკი—245—250. 20 ლირა იტალიანური—125—130. ოსმალური ოქროს ლირა—550—555. რუსული 10 მანეთიანი—645—650. 1.000 მან. (ორი 500 მან.)—71—72. კერენკა—1000 მან.—8 ნახევ.—9. ოსმალური ქაღალდის ლირა—210.000—214.000 მან. ქართული ბონ 3 800.000. საბჭოთა ნიშნებით.

ბაქოს ბირჟა.

ბაქო. ოფიციალური ბიულეტენი ბაქოს ბირჟისა.

	13 ივნისს.	14 ივნისს.
დოლარი	5.300.000	5.200.000
გირვანქა სტერლინგი	25.000.000	24.500.000
ფრანგ. ფრ.	500.000	510.000
ლირა იტალ.	270.000	275.000
ოსმალ. ქაღ. ლირა	4.300.000	4.200.000
გერმან. მარკა	22.000	20.000
რუსული ჩვეულ.	95	95
1920 წლ. (შემოკლ.)	95	95
სავალდებ.	95	95
შემოკლ. სავალდ. (500—1000)	90	90
ქართული	2 050	2.050
500 რომ. პაჩკებ.	1.250.000	1.250.000
1.000 კერენკა	250.000	250 000
ოქროს 10 მან.	28.400 000	27 800.000
ოქროს ლირა	22.800 000	22.300.000
ნანტრი 56 პრობ.	5.500	5.400
თუმანი სპარს.	4.200.000	4 200 000
ვერცხლ. 1 მან.	1.200 000	1.200.000
წვრილი 1 მან.	500.000	500.000

ბერლინის ბირჟა.

ჰანოვერი. 19 ივნისი. (რადიო). ბერლინის საფონდო ბაზარი. 1 გირ. სტერლ. 1.4530.20. 1 დოლარი 321.59. ნიდერლანდის გულდენი 12 534.35.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციაში 1922 წ. მაისისთვის ანგარიში.

პირველ რაიონში.

1 რაიკომის მუშაობა მაისის განმავლობაში მიმართული იყო, ერთის მხრივ პარტიულ აპარატის განმტკიცებისაკენ და მეორეს მხრივ ორგანიზაციის მთლიანობისა და შეკავშირებისაკენ. რაიკომის უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო იმისკენ, რომ განმტკიცებული ყოფილიყო კავშირი იაჩეიკებსა და რაიკომის შორის, რაც ხორციელდებოდა დელეგატების კრების მოწვევითა და ორგანიზატორების საშუალებით. ორგანიზატორების მუშაობა სავსებით ჩამოყალიბებული იყო; თვითეულ მათგანს მინდობილი [illegible], იაჩეიკების გან-
საზღვრ[illegible] ამიტომ აქ, რომლის მუშაო-
ბა პროლეტარული [illegible], პასუხისმგე-
რმელიც კაცობრიობი[illegible]
ტურის გარკვევა-განხი[illegible]
ჯვას ამ თვალსაზრისი[illegible]
პროლეტარულ ეკონ10,000.
კვლებზედ მომავალ

ამ ზომების მიღებით სასურველ შედეგებს მივაღწიეთ: იაჩეიკების კრებები თავთავის დროზე სწარმოებს. კრებას ნორმალურად ესწრებიან. მაისის განმავლობაში იაჩეიკების მეცადინეობა გამოიხატებოდა სხვა და სხვა პოლიტიკურ და ეკონომიურ საჭირბოროტო საკითხებზე მოხსენების წაკითხვაში და აგრეთვე ადგილობრივი საწარმოო სამეურნეო საკითხების განხილვაში.

რაიონში არსებობს 15 იაჩეიკა (სატრანსპორტო დაწესებულებები—12, სამხედრო ნაწილებში—ერთ საბჭოთა დაწესებულებებში—2).

იაჩეიკების სხდომა მაისში გაიმართა 49-ჯერ და განხილულ იქნა 291 საკითხი (პარტიულ საორგანიზაციო ხასიათის—121, საბჭოთა აღმშენებლობის—19, პროფესიონალური—27, სამეურნეო—26, მოხსენებები პარტიის ყრილობასა და კონფერენციების შესახებ—25 და სხვა ხასიათის—73).

უპარტიოთა შორის მუშაობა ამ თვის განმავლობაში ცოტათი უფრო სუსტათ სწარმოებდა, ვინემ ეს იყო წარსულ თვეებში. ეს აიხსნება ობიექტიური პირობებით უმთავრესად კი პოლიტიკური მომენტით. მთელი მუშაობა უპარტიოთა შორის გამოიხატებოდა საერთო კრებების მოწვევაში, პოლიტიკურ საკითხებზე და უმთავრესად „გენუა და მენშევიკები“—შესახებ მოხსენებების მოწყობაში· ვინაიდან მზადდებოდა მენშევიკების გამოსვლა, გამართულ იქნა უპარტიოთა რამოდენიმე საერთო კრება, სადაც წაკითხულ იქნა მოხსენებანი, რომლის მიზანიც იყო მენშევიკების ნამდვილი ფიზიონომიის გამოაშკარავება მუშების წინაშე, რომ დაენახვებიათ მათ მენშევიკების გამყიდველური პოლიტიკის დედა აზრი. მუშები ძალიან დაინტერესებულნი იყვნენ ამ მოხსენებებით და მიღებულ რეზოლიუციებში მათ სავსებით დააფასეს მენშევიკების მუშაობა და უწოდეს მათ „გამყიდველისა“ და „საზიზღრების“ სახელწოდება და სხვ. უფრო სხვა გვარი ხასიათის მუშაობაზე გადასვლა ვერ მოხერხდა. სულ წარმოებებში მოწყობილ იქნა 18 საზოგადო კრება, რომელსაც საერთოდ დაესწრო 5927 მსმენელი. საზოგადო კრებების საგანი იყო:

გენუის შედეგები, მენშევიკების პროვოკაცია, პროფ კავშირები, ნებაყოფლობითი წევრობა, კოლექტიური ხელშეკრულება და სხვ. გარდა ამისა გამართულ იქნა უპარტიო ქალთა კრება 27 ჯერ. (ქალთა განყოფილების მუშაობის სრული ანგარიში ამ ახლო ხანაში დაიბეჭდება).

საბჭოთა მუშაობის სფეროში რაიკომმა ცოტა რამ გააკეთა, რაც სავსებით გასაგებია, რადგანაც რაიკომის მომუშავეების მთელი ყურადღება მიქცეული იყო პარტიულ მუშაობაზე.

პროვინციაში

ბორჯომი

თუ სადმე პროვოკატორები და საბჭოთა მტრები მუშაობენ და ვერ ცილდებიან თავიანთ ბნელ საქმიანობას, უკანასკნელი ადგილი ამ მხრივ არ უჭირავს ქ. ბორჯომს თქვენ აქ შეხვდებით ყოველი ჯურის კონტრ-რევოლიუციონერს და პროვოკატორს. ისინი აქ მოდიან სხვა და სხვა „ფოკუსებით“. ზოგი მათგანი, როგორც კურორტში, ვითომდა საქეიფოდ ჩამოსულა, უმრავლესობა კი სხვა და სხვა მანდატებით და დავალებით არიან აღჭურვილი, ასეთები იმდენად ბევრია, რომ მათ აღნუსხვას ბევრი დრო დასჭირდება.

როგორც მკითხველებმა იციან ბორჯომის ხეობა მდიდარია ხე-ტყის მასალით, აქ არის სახერხავი და შუშეულობის ქარხნები, არის სკიპიდარის წარმოება. წასულ წლის მოუსავლობამ და მოულოდნელმა სიმშილმა, ისეც სუსტი და მოუმარაგებელი ადგილობრივი მრეწველობა უფსკრულის კარებამდის მიიყვანა, ვინაიდგან ძნელი იყო ჯერ ჯამაგირების თავის დროზედ მიცემა მუშებისათვის და, მთავარი კი, მათთვის სურსათის მიწოდება. ამ გარემოებით სარგებლობდნენ სპეკულიანტ პროვოკატორები. მშიერი მუშა ხშირად ხდებოდა მათი მსხვერპლი რადგანაც მუშისაგან ქურდულად ყიდულობდნენ ნაწარმოებს. ამ სენის თავიდგან მოსაშორებლად თვით მუშებმა აიმაღლეს ხმა და ის ფესვიანად აღმოფხვრეს. აქ საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო ერთი მთავარი ფაქტი: სპეკულიანტ პროვოკატორთა საგმირო მუშაობის შესახებ ადგილობრივმა დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა შეიძინა ათასი ძირი მოჭრილი ხე, რათა ის გადაეცვალა ჭირნახულზე დამშეულ გლეხების საჭიროებისათვის. მინამ კომიტეტი შესძლებდა ხეების გაყიდვა-გადაცვლას, აქ აღმოჩნდა ვინმე ჯაფარიძე, რომელსაც ჰქონდა გვარიანი დიდი მანდატი, რომ ის რკინის გზის კონტრ აგენტია. მასთან ახლდა თავისი ამალა, სამი ძმა ბიჭებით. მათ პირველი თავისი დებიუტი დაიწყეს ქეიფით, კაცის ცემით, იარაღის ხმარებით და სხვა. ამ ვაჟბატონის, ჯაფარიძის საქციელი ისეთი იყო თითქოს მას სურდა ესარგებლა შემთხვევით და ხელი შეეშალა ადგილობრივ ხელისუფლებისთვის, რომელიც ენერგიულად მუშაობდა დამშეულთა დასახმარებლად, რათა დაეცა მისი ავტორიტეტი ხალხის თვალში. მან მოილაპარაკა რამოდენიმე სოფლის ბობოლებს (კულაკებს), მათი საშუალებით და მოტყუებით, დამშეულთა კომიტეტის კუთვნილი ხეები ბატონმა ჯაფარიძემ იყიდა. როდესაც ეს შანტაჟი გაიგო ადგილობრივმა აღმასკომმა, მიიღო სასწრაფო ზომები ჩარჩ სპეკულიანტის წინააღმდეგ.

მაგრამ მანამ მას აღმასკომი ხელფეხს გაუკრავდა მან გაქცევა მოასწრო თბილისში და თან წაიყვანა ორი სოფლის ბობოლა (კულაკ·). აქ ბორჯომში დასტოვა „რაზვიდკისათვის“ ორი მისი ძმა ბიჭი, რომლებიც დაუღალავათ მუშაობდნენ და პროვოკაციას ავრცელებდნენ აღმასკომის წინააღმდეგ. ისინი აშინებდნენ ადგილობრივ გლეხებს: მთავრობამ ხეები ჯაფარიძეს მიაკუთვნა და ის დამშეულთა კომიტეტს არ ჩააბაროთო, ვინც ამას არ შეასრულებს ის დაისჯებაო. ასეთ პროვოკაციას გლეხკაცობაში აქა იქ გასავალიც ჰქონდა და საერთო მუშაობა კომიტეტის ფერხდებოდა. ასეთი მახინაციებით ცდილობდა არამც თუ ხეების ჩაბარებას, არამედ აღმასკომის წინააღმდეგაც ილაშქრებდა, მაგრამ მისდა სამწუხაროდ მან ფონს ვერ გავიდა. შინაგან საქმეთა კომისარიატმა ამ საქმეს შეხედა დინჯათ და ის შეეკითხა აღმასკომს, რის შემდეგ ჯაფარიძის ფიზიონომია გამოაშკარავდა. მიუხედავათ იმისა, რომ ის დამარცხდა, მიუხედავათ იმისა, რომ თანახმად შინაგან საქმეთა სახკომისარის განკარგულებისა, ჯაფარიძე ბორჯომის ხეობიდან ხეებს ვერ მიიღებს, ის მაინც განაგრძობს „მუშაობას“ და ახალ პროვოკაციას აღმასკომის წინააღმდეგ.

ჩვენ ბორჯომის ხეობაში ძლიერ ბევრი მოიპოვებიან „ჯაფარიძეები“. მათ წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული სერიოზული ზომები, რათა ეს საზაფხულო კონტრ რევოლიუციის ბუდე ჩაშლილ ჩანგრეულ იქნეს.

ბორჯომის აღმასკომის თავმჯდომარე **რუხაძე**

მარტვილის რაიონი.

(სენაკ. მაზრა)

დ. ნაღალევი ერთი ისეთი კუთხეა სენაკის მაზრის, რომელიც მოწყვეტილია ცენტრს, რაც აფერხებს ცხოვრების მსვლელობას სწრაფი ტემპით.

მენშევიკური ხელისუფლება ამ რაიონს ყურადღებას არ აქცევდა.

მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი. ხალხმა ააშენა სამკითხველოს შენობა, ყოფილი მთავრობა არავითარ დახმარებას არ უწევდა და სამკითხველო წაქცევის კარებამდე მივიდა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ ახა-ხლად კაპიტალური რემონტი გაუკეთა და ფეხზე დააყენა სამკითხველო.

აგრეთვე გიმნაზია (ეხლ. ტეხნიკუმი), მშრ. გლეხების მოთხოვნილებით დაარსდა; მენშევიკური მთავრობა სრულიად არ ზრუნავდა მაზე, შენობა გიმნაზიის დაინგრა და მეცადინეობა შეუძლებელი გახდა, რის გამოც 1921 წ. გიმნაზიაში სწავლა უნდა შეწყვეტილიყო. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ მას მიაქცია სათანადო ყურადღება (30 მილიონით ცენტრიდან და 50 მილ. ადგ. საშუალებით, ფინანსიური და მატერიალური დახმარებით, და არარაობამდე დაყვანილი შენობა გადაიქცა საუკეთესო შენობათ, და ამით საბჭოთა მთავრობამ უზრუნველყო ხანგრძლივ დროს განმავლობაში მარტვილის ტეხნიკუმი ბინით.

გაზეთ ჟურნალების მოწოდების საქმე მარტ. რაიონს (დ. ნაღალევს) შედარებით წარსულ დროსთან, უკეთ აქვს დაყენებული.

კიდევ საჭიროა, როგორც მაზრამ, ისეც ცენტრმაც ყურადღება არ მოაკლოს მარტვილის რაიონს, კერძოდ მიმოსვლის აღდგენაში, რომ მჭიდრო კავშირი დამყარდეს ცენტრთან, როგორც მისი განუყოფელი.

ი. მონიავა.

წერილი რედაქციის მიმართ

ტრამვაის კომიაჩეიკის ბიუროს, ტრამვაის პარკის მუშა ირაკლი მეგრელიშვილისაგან

მე, ტრამვაის პარკის მუშა, სადაც ვმსახურობ 1905 წლიდან, ამით ვაცხადებ: მე 1902 წლიდან ვირიცხებოდი სოც. დემ. მუშ. პარტიაში (მენშევიკებში) და ახლა გამოვდივარ ამ პარტიიდან, ვინაიდან არ ვხედავ მის მხრივ რაიმე დაცვას მუშათა კლასისას და პირიქით დავრწმუნდი მის გამყიდველობით როლში პროლეტარიატის მიმართ. კომუნისტური პარტია კი არის ერთად-ერთი გამომხატველი მშრომელთა ნებისყოფისა, რაშიაც მე უკვე დავრწმუნდი და როგორც რევოლიუციონერი, მოვუწოდებ ყველა პატიოსან მუშებს ყოველგვარად დაეხმარონ კომუნისტურ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში და არ აყვენ მენშევიკების პროვოკაციას.

ირაკლი მეგრელიშვილი

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 9.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

კერძო მფლობელობის სახლებში საცხოვრებელი სადგომების შესახებ.

1922 წ. მაისის 17 თარიღისა და მე-4 № დეკრეტის გასაუქმებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში სახლის პატრონთა მფლობელობაში, სარგებლობასა და განკარგულებაში არის ყველა სახლი, გარდა: ა) მუნიციპალიზაცია ქმნილი და ბ) სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადებული სახლებისა.

2. სახლის პატრონი ვალდებულია განაგოს თავისი სახლი პირადათ ან რწმუნებულის მეშვეობით, აწარმოოს სახლის საჭირო შეკეთება და შეასრულოს ადგილობრივი ხელისუფლების უყველა განკარგულება, როგორც სანიტარული, ისე ადმინისტრატიული ხასიათისა.

3. სახლის პატრონს აქვს უფლება სახლის განსხვისებისა (отчуждение) ყოველგვარი კანონიერი წესით, იჯარით გაცემისა და აგრეთვე ბინების გაქირავებისა.

4. ადგილობრივ კომუნალურ განყოფილებას,—1 კატეგორიის პირთა (მუხ. 3) ბინებით დასაკმაყოფილებლად.—შეუძლიან კერძო მფლობელთა სახლებში აიღოს აღნუსხვაზე საერთო საცხოვრებელი სივრცის არა უმეტეს 25 პროც. შემდეგ ქალაქებში: ტფილისსა, ბათუმსა, ქუთაისსა, ფოთსა, გორსა და ჭიათურაში, ხოლო დანარჩენ ქალაქებში კი არა უმეტეს 15 პროცენტისა.

შენიშვნა: იმ სახლებში, სადაც ამ ნორმით ბინები უკვე უჭირავთ 1 კატეგორიის პირთა გადამხდელებს, სხვა დანარჩენი საცხოვრებელი სივრცე იქ განთავისუფლებულია აღნუსხვისაგან და სახლის პატრონს შეუძლიან გააქირაოს თავისუფალი შეთანხმებით.

5. ყველა, ვისაც უჭირავს ბინა, იქნება ის კერძო პირი, საზოგადო თუ საბჭოთა დაწესებულება, ვალდებულია დააკმაყოფილოს სახლის პატრონი ბინის ქირით.

6. 1-ლი კატეგორიის პირთა საცხოვრებელი ბინისა და საბჭოთა დაწესებულებების მიერ დაჭერილი სადგომების ქირის ტარიფიკაციის საერთო ნორმებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებისათვის შეიმუშავებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი და დაამტკიცებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო.

7. საცხოვრებელი სივრცის ნორმად თვითეულ სულზე დაწესებულ იქნეს 25 კვ. არშინი ყოველი მოქალაქისათვის, გამოუნაკლისად.

შენიშვნა: ნორმის გარეშე ერთი კაბინეტის (სივრცით არა უმეტეს 30 კვ. არშინისა) დაჭერის უფლება აქვს საბჭოთა პასუხისმგებელ მომუშავეს, პროფესორს, მოპრაქტიკე ექიმს და აგრეთვე საბჭოთა სამსახურში მყოფ ინჟინერს.

8. საბინაო ქირის გადახდის მიხედვით მდგმურები განიყოფებიან ორ კატეგორიად:

1-ლი კატეგორია. ა) სახელმწიფო საზოგადო და კერძო დაწესებულება-წარმოების მუშა მოსამსახურე, თუ იგი ითვლება პროფესიონალური კავშირის წევრად და არა აქვს რაიმე გარეშე შემოსავალი. აგრეთვე წითელ-არმიელი და ყველა ზემოხსენებულ პირთა ოჯახების წევრნი, უკეთუ იგინი მათ რჩენა-მზრუნველობაზე იმყოფებიან.

ბ) ის პირი, რომელსაც დაუკარგავს სამუდამოდ შრომის უნარი სამხედრო ან შრომის ფრონტზე და აგრეთვე ის, ვინც სოციალურ მზრუნველობაზე იმყოფება.

გ) ის უმუშევარი, რომელიც აღნუსხულია და სარგებლობს სოციალური დაზღვევის უფლებას.

დ) სახელმწიფო სასწავლებლის ღარიბი მოსწავლე, რომელიც დამოუკიდებლად სცხოვრობს—არა მშობლებთან, უკეთუ იგი წარადგენს სათანადო სასწავლებლის სპეციალურ მოწმობას სიღარიბის შესახებ.

მე-2 კატეგორია: ყველა დანარჩენი მოქალაქე.

9. 1 ლი კატეგორიის პირთათვის საბინაო ქირას აღნიშნული საერთო ნორმის ფარგლებში (მუხ. 6) აწესებს სათანადო ქალაქისა და მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი

10 ყველა დანარჩენი მოქალაქე ბინის ქირას გადაიხდის სახლის პატრონთან შეთანხმებით.

11. მიმდინარე თვის ბინის ქირა 1-ლი კატეგორიის პირს შეაქვს არა უგვიანეს თვის დასასრულისა, მე-2 კატეგორიის პირს კი—ყოველი თვისათვის წინდაწინვე, უკეთუ მის და სახლის პატრონს შორის ამის შესახებ რაიმე სხვაგვარი შეთანხმება არ მომხდარა.

12. მდგმურის გამოსახლება შეიძლება მხოლოდ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

13. 1 ლი კატეგორიის პირის გამოსახლება შეიძლება შემდეგ შემთხვევაში:

ა) სახლის პატრონის ბინის ქირით დაუკმაყოფილებლობის გამო.

ბ) ბინისადმი ცუდად მოპყრობისათვის, რაც გამოიწვევს მის დაზიანებასა და გაბინძურებას.

გ) ისეთი პირობების შექმნა, რაც შეუძლებლად ხდის სხვებთან ერთად ცხოვრებას სახლში და სხვ ამსთ.

შენიშვნა: საბინაო ქირის ზემოაღნიშნულ ვადაზე გადაუხდელობის გამო 1 ლ კატეგორიის პირი სახალხო სასამართლოს დადგენილებით შეიძლება გამოსახლებულ იქნეს ბინიდან—მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ გადაუხდელობა არ იყო გამოწვეული სამსახურში ჯამაგირის თავის დროზე მიუღებლობით, ან სხვა რამ მიზეზებით, რაც სასამართლოს მიერ პატივსადებად იქნება ცნობილი.

14. მე 2 რე კატეგორიის პირის გამოსახლება, მე-13 მუხლში მოხსენებულ შემთხვევების გარდა, შესაძლებელია აგრეთვე სახლის პატრონთან დადებული ხელშ[illegible]ვის გამო, უკეთუ [illegible] მოხსენებულია გამოსახლება, როგორც მისი დარღვევის შედეგი.

შენიშვნა: უკეთუ სახლის პატრონისა და მე-2 კატეგორიის პირის შორის, რომელიც უკვე სცხოვრობს სახლში, ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, ბინის ქირას განსაზღვრავს სახალხო სასამართლო გარემოებათა მიხედვით,—არა უმეტეს ომამდე არსებული ქირის რაოდენობისა ამისთანავე ბინისათვის—იმავე რაიონში (ბინებზე გამოანგარიშებით).

15. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქარ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო
კომ. საბჭ. თავმჯდ. ს. ქავთარაძე.
შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარი ა. გეგეჭკორი.
სახალხო კომისართა საბჭოს
მდივანი ა. ხალარიძე.
1922 წ. ივნისის 16.
ტფილისი—სასახლე.

სარედაქციო კოლეგია.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი და გულ დათუთქულნი დედა ეკატერინე, დები: ქეთევან ასათიანისა და მარიამ ბოკერია, რძლები: ნინო და თამარ, ძმები: ივანე, ლევანი, პეტრე, პავლე და სიძე გრამიტონ ასათიანი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი და საყვარელი

ნინო დიმიტრის ასულის

დათეშიძის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე ქაშვეთის ეკლესიაში საღამოს 7 საათზე (ახალი დროით) დასაფლავება პარასკევს, 23 ივნისს, ნაშუადღევს 4 საათზე ვერაზე ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. 1—1

გულ დამწვარნი: დედა ეფროსინა, დები: ოლღა, აგრაფინა და მარიამი, ძმები: კალისტრატე, ბიქტორი, ლევანი, ვარლამი, მინა, გრიგოლი, შალვა და ნესტორი და სიძეები: ივლიანე ხოფერია და რაფაელი დვალი ცოლშვილით აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგ-მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მიხეილი (მიშა) გიორგის ძე ბერიძე

პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 7 საათზე, ანდრეევის ქ., ს. № 21, გამოსვენება მოხდება პარასკევს, 23 ამ ივნისს, ნაშუადღევს 3 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში; წესის აგების შემდეგ მიცვალებული გასვენებული იქნება ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე საღამოს 5 საათზე იმავე დღის. 2—1

საქართველოს საექიმო-სასანიტარო პროფ-კავშირის აფთიაქებში მომუშავეთა სექციის ბიურო მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს დაუვიწყარი, ძვირფასი ამხანაგის ბიუროს წევრის

მიხეილ გიორგის ძე ბერიძის

უდროოთ გარდაცვალებას.
პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზედ, ანდრეევის ქ. № 21.
დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—1

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ფულის დაგვიანებით მიღებისა და გაზეთების გზავნის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა იღებს ხელის მოწერას ივლისის და შემდეგი თვეებისათვის.

ხელის მოწერა მიიღება **თბილისის და ბათუმის** ყველა გაზეთებზე.

ხელის მოწერის ფასი – ძველია.

ვინც 30 ივნისამდე არ მოაწერს ხელს, მათ მოესპობათ გაზეთების გზავნა 1 ივლისიდან.

0—1

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი

ვეტერინარ ბაქტერიოლოგიურმა ლაბორატორიამ დაამზადა

ციმბირის ჭირის (Сибирская язва)

საწინააღმდეგო 1 და 2 ვაქცინები

დოზა ვაქცინისა ღირს 5.000 მანეთი.

ლაბორატორია აწარმოებს ყოველგვარ

დიაგნოსტიურ გამოკვლევებს

(ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულს)

აქვე შეიძლება შეძენა გამოხდილი (Дистилированная) წყალისა.

კოჯრის ქუჩა № 9. 5—2

(ყოფ. გიმნაზიის გამგე და დამაარსებელი)

ტეხნიკუმის მათემატიკის

მასწავლებელი ი. მაჩაძე ამზადებს 1 სექტემბრისათვის მოწაფეებს განმეორებითი გამოცდებზე: ალგებრაში, გეომეტრ. ტრიგონომეტრიაში. ენებში. 5, 6, 7 კლასში შესასვლელად. პლეხანოვის და ალექსის ქ. № 25 | 5 ნახვა 9—12 და 3—6 საათ. 1—1

ქალაქ თბილისის აღმასკომის სადგილ-მამულო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ სახლების მესაკუთრეთა

რეგისტრაცია გაგრძელებულია

ა. წ. 15 ივლისამდე სხვა და სხვა მიზეზების გამო.

3—1 **სადგილ მამულო განყოფილება.**

ქ. თბილისის მე-2-ე რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს სახალხო სასამართლოში მემკვიდრეებს უფლებების წარსადგენათ გარდაცვალებულ ვალენტინა ალექსანდრეს ასულ ივანოვის ქონებაზე.

21 ივნისი 1922 წ.

1—1

დაიკარგა

დაიკარგა პირადობის მოწმობა ივანე ალექსანდრეს ძე დავითაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1

ნ. დ. ს. ც.

საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.